საერთო საქმე

№40 (590) • 9 დეკემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ოცდაათი წლის წინათ, ოცდათი წლის შემდეგ...

ვინც ზვიად გამსახურდია დაამარცხა, მან დაამარცხა საქართველო!

ვინც ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაზე ოცნებობს, მას საქართველოს დამარცხება სურს!

ხელახალი არჩევნები გამოსავალი კი არ არის, ეს არის საბედისწერო ფინალი საქართველოსთვის, რომელიც აუცილებლად სამოქალაქო ომით დამთავრდება

„ქართული ოცნების“ მხრიდან გაყალბება არ მომხდარა, მაგრამ ხომ არ მუშაობდა გაყალბებაზე თავად „ნაცმოძრაობა“?

ორიოდ სიტყვა ჩვენს „განათლებულ“ საზოგადოებაზედ, ანუ ქვეყანაა თუ ფსიქიატრიული საავადმყოფო?



საქართველოს სასიქადულო შვილი

როგორ ვაქციოთ ახალ სინგაპურად საქართველო?

სადაც სიტყვა „ნათესავი“ უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიტყვა „სახელმწიფო“?

ქაქში ჩაფლულები

ეხმარება თუ არა ღვთის რწმენა ადამიანს განკურნებაში?

როგორ უნდა მივხვდეთ, რომ კორონავირუსი გვაქვს?

კონსტიტუცია, როგორც ასეთი, ანუ რომელი ქვეყნები ცხოვრობენ ძირითადი კანონით

„ქართული ოცნების“ მხრიდან გაყალბება არ მომხდარა, მაგრამ ხომ არ მუშაობდა გაყალბებაზე თავად „ნაცმოძრაობა“?

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი
რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, რა ხდება პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, რის მიღწევას ცდილობს ოპოზიცია?

— ბზეჟინსკის საქართველოში რომ ეცხოვრა, პოლიტიკას საჭადრაკო დაფას, ნამდვილად, არ დაარქმევდა. ქართული პოლიტიკის ხელწერა ჭადრაკს არ ჰგავს, ეს უფრო კრივის სტილისტიკაა. თუმცა, ჭკუა კრივსაც უნდა, მაგრამ ჩვენს პოლიტიკოსებში აზრიანი მომენტები გაიშვიათებულია, ეს არის მთელი პრობლემა. როგორც გაირკვა, გასაიდუმლოებულ სიაში ერთ-ერთი

მოთხოვნა პლებისციტის ჩატარება გახლავთ, რაც ცოტა გაუგებარია. ოპოზიცია ახალ არჩევნებს ითხოვს. თანაც, იციან, რომ ამის კანონიერი საფუძველი არ არის. ამიტომ, თქვეს კიდეც: მის უდიდებულესობა ხალხს დავეკითხოთ, პლებისციტი დავნიშნოთო. ამ პროცესსაც თავის წესები აქვს, რაც კონსტიტუციაში არის გაწერილი. იგი არაფერს ავალდებულებს, უბრალოდ, პლებისციტის საშუალებით პოლიტიკაში ამა თუ იმ ჯგუფის განწყობები მოისინჯება. მაგრამ, ახალახან, 31 ოქტომბერს ამ ხალხის განწყობები, ხომ გამოაშკარავდა. კი ბატონო, უკლებლივ ყველა არ გავარდნილა არჩევნებზე. არცერთ ქვეყანაში არ არის 100%-იანი დასწრება, მაგრამ არჩევნების ჩატარებულად ჩასათვლელად საჭირო რაოდენობა მივიდა. რა პლებისციტს ვატარებთ?! ანუ, ეს კაპრიზის მიხედვით ტარდება და არა კანონის. ვერც კანონი, ვერც პოლიტიკური ლოგიკა, ახლა, პლებისციტის ჩატარებას ვერ გაამართლებს გარდა იმისა, რომ ოპოზიცია ჭირვეულობს. თუკი ოპოზიციის ჭირვეულობის გამო პლებისციტი მაინც ჩატარდება, შედეგად მივიღებთ გაღიზიანებულ ამომრჩეველს. ეს ხალხი ერთი თვის წინ უკვე იყო არჩევნებზე. პლებისციტიც ხომ ისეთივე გამოკითხვას გულისხმობს როგორიც არჩევნებია. გამოდის, რომ ამ ხალხის ერთხელ მისვლას ანგარიშს არ უწევ და ამომრჩეველს პატივს არ სცემ. გაღიზიანებული ხალხი ოპოზიციასაც შეაგინებს და ხელისუფლებასაც და საერთოდ არ მიიღებს პლებისციტში მონაწილეობას. ამ პროცედურის მიმართ პროტესტი გაუჩნდებათ იმიტომ, რომ ეს მათი შეურაცხყოფაა. გამოდის, რომ ხალხის ერთხელ გამოთქმული აზრი არ გაითვალისწინეს, ეს შეურაცხმყოფელია. მეორეც, დავსვათ კითხვა: ვინ უნდა ჩაატაროს პლებისციტი, ისევ საარჩევნო კომისიამ, ხომ? ოპოზიციას ეს საარჩევნო კომისია არ მოსწონს. ვინ და როგორ უნდა გადაირჩიოს ეს საარჩევნო კომისია? ამას იმიტომ ვკითხულობ, რომ თავის დროზე თამარ ჟვანია, სწორედ, ოპოზიციის წარდგენილი კანდიდატურა იყო. მათ ჟვანიას დასამტკიცებლად დიდი ბრძოლა დასჭირდათ. რა გარანტია გვაქვს, როცა ახალ კანდიდატურას დაასახელებენ, მან თუ სასურველი შედეგი არ დადო, ოპოზიცია ისევ მოსყიდულობაზე არ ალაპარაკდება. ისინი ვინც მათ წინააღმდეგაა, ყველას რუსეთის აგენტობაში სდებენ ბრალს. ასე, რომ ამ განაჩენს ვერც ახალი კომისია გადაურჩება. რა შემთხვევაში დათანხმდება ოპოზიცია გინდ არჩევნების შედეგს, გინდ პლებისციტს და ა.შ., ამაზე არ საუბრობს. ოპოზიცია უკან დახევას არ აპირებს. ამიტომ, ყველა ეტაპზე მოსალოდნელია, საპროტესტო ტალღამ ისევ იფეთქოს. ბოლოსდაბოლოს იქამდე ხომ არ ჩატარდება არჩევნები, სანამ ოპოზიცია არ მოიგებს. პრინციპში, ამ ტიპის პრეტენზიასთან გვაქვს კიდეც საქმე. თან, პრეტენზია იმ ფონზე, როცა ხელისუფლებას ხმების გადათვლაზე უარს ეუბნებიან. ხელისუფლებას ხომ არ უთქვამს არჩევნები გაყალბდაო. ამდენად, იგი ვერ მოითხოვს ხმების გადათვლას. აი, ოპოზიციას კი შეუძლია ამის მოთხოვნა, მაგრამ ამას არ აკეთებს. რატომ? ეს კითხვის ნიშნები გროვდება. ამიტომ, ძნელია იმის პროგნოზი თუ რა მოხდება.

— ხმების გადათვლას რაც შეეხება, ოქმები ხომ ყველა მათგანს აქვს, გადათვალონ, რა პრობლემაა. ამის უკან სხვა რამ ხომ არ იმალება?

— დიახ, მათ, ალბათ, უფრო დესტაბილიზაციის შექმნა სურთ. დიდი ხანია პრეტენზია — გავიმარჯვეთო, აღარ ისმის. ეს ერთი-ორჯერ მიშამ თქვა. ამოცანა არის დესტაბილიზაცია და ის, რომ პროცესი დროში გაიწელოს. სხვა ლოგიკური გამართლება ქუჩაში დაყენებულ მოთხოვნებს, არ აქვს. იმიტომ, რომ იგივე მოთხოვნები შეუძლიათ პარლამენტის ფორმატში გადაიტანონ და ეს საკითხები იქ, დააყენონ. რა პრობლემაა. პოლიტიკოსების მიერ პარლამენტში დაყენებული საკითხები გაცილებით უფრო მეტი წონის არ იქნება, ვიდრე ქუჩაში წამოსროლილი. ესენი ხომ პოლიტიკოსებიც არ არიან, სანამ მათ უფლებამოსილებას პარლამენტი არ დაამტკიცებს. იქამდე, არიან პოლიტიკური მოტივით ქუჩაში მყოფი ხალხი, მეტი არაფერი.

— ბატონო რამაზ, ხელისუფლება რომც დასთანხმდეს ხელახალ არჩევნებს, ეს რას გამოიწვევს? ვადა კონსტიტუციით არის განსაზღვრული, გაზაფხულამდე, ალბათ, ვერც ჩატარდება. რა გარანტია აქვთ, რომ ამ დროისთვის მათ სასარგებლოდ იქნება ყველაფერი?

— არმგონია, მათ ასეთი დალაგებული სურათი და შესაბამისად, მიზანი ჰქონდეთ. უფრო ვფიქრობ, რომ მათი სურვილია თავისი გაიტანონ. პლებისციტიც ამის მცდელობაა — თავისას გაიტანენ, მერე, რა მოხდება, ამაზე აღარ ფიქრობენ. ისინი რომ უფიქრდებოდნენ ამ ყველაფერს რა მოჰყვება, ქუჩაში არ გაიჭედებოდნენ. ახლა, ოპოზიცია ქუჩაშია გაჭედილი და გამოძრომას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს.

— ხელახალი არჩევნები ნულოვანი ბარიერით ვეღარ ჩატარდება, რაც წესით, არ უნდა აწყობდეთ იმ წვრილ-წვრილ პარტიებს, რომელთაც ბარიერი გადალახეს.

— კი, ასეა. ამ შემთხვევაში, ერთმანეთს სწირავენ. ამ ქუჩის რეჟიმზე ყოფნას, პატარ-პატარა პარტიები ეწირება, თან დიდი ხნით. იმიტომ, რომ ისინი 2024 წლამდე მიაღწევენ თუ არა, კაცმა არ იცის. ფაქტობრივად, გამოდის, რომ „ნაცმოძრაობამ“ საქართველო იმისთვის გაწირა, რომ თავისი კაპრიზი აისრულოს.

— 1%-იანი ბარიერი, თითქმის, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ — კოლექტიურმა „ნაცმოძრაობამ“ გადალახა, თუმცა, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი პარტიები პარლამენტს მიღმა დარჩნენ. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ „ქართული ოცნება“ დარწმუნებული იყო, არჩევნებში 63% მივიღებთო. რეალურად, ხელთ 48% შერჩათ, 15% სადღაც გაქრა და „ქართული ოცნება“ საკუთარი მხარდამჭერების ნაცვლად, ისევ „ნაცების“ ამარა დარჩა?

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარედაქციო მასალები.

— გეთანხმებით. თუ გაყალბება მოხდებოდა, ბუნებრივია, „ქართული ოცნება“ ამას თავისი მხარდამჭერი პატარა-პატარა პარტიების სასარგებლოდ გააკეთებდა. გაყალბების შემთხვევაში მაჟორიტარულ არჩევნებში მეორე ტურიც აღარ შედგებოდა. თუნდაც, მეორე ტური შემდგარიყო, გაყალბების შემთხვევაში, შედეგი სულ სხვა იქნებოდა. ბევრგან, „ნაცმოძრაობის“ კანდიდატმა, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდა, ხმები მაინც მიიღო. რა, „ქართულმა ოცნებამ“ ჩაუყარა „ნაცმოძრაობის“ კანდიდატს ხმები?! ეს შემდეგნაირად შეიძლება ავხსნათ: ერთი ის, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან გაყალბება არ მომხდარა და მეორე — ხომ არ მუშაობდა გაყალბებაზე თავად „ნაციონალური მოძრაობა“. ამ ვერსიას ხელს უწყობს ის, რომ ვიცით, „ნაციონალები“ ყველა უბანზე იყვნენ დამკვირვებლებად და ოქმებს ხელი მოაწერეს ისე, რომ წინააღმდეგობა არ გამოუვლენიათ. თანაც, ვიმეორებ, ოპოზიციამ უარი თქვა ხმების გადათვლაზე. ხმების გადათვლის შემთხვევაში, გამოვლინდებოდა ჩემი ვერსია, რომ შესაძლოა, არჩევნები „ნაციონალების“ სასარგებლოდ არის გაყალბებული. ლოგიკა გვაიძულებს დავფიქრდეთ: ამიტომ ხომ არ თქვეს უარი ხმების გადათვლაზე ოპოზიციის დიდმა ჯგუფებმა.

— ოპოზიცია ამბობს: მმართველ ძალას ერთპარტიულ პარლამენტში მოუწევს ყოფნაო. თუ ასე მოხდა, ნიშნავს ეს ქვეყანაში პოლიტიკურ კრიზისს და როგორ განვითარდება მოვლენები?

— არა! ჩვენ, ფაქტობრივად, საკაშვილის დროსაც ერთპარტიული პარლამენტი გვქონდა, მაგრამ ამით ქვეყანა არ დანგრეულა, ამ დრომდე მოვაღწიეთ. ერთპარტიული პარლამენტის არსებობა, ოპოზიციის მხრიდან ისევ თამაშის საბაბს იძლევა. ოღონდ, არ ვგულისხმობ, კეთილ ბავშვებს. დიახ, ეს ბავშვური თამაშის საშუალებას იძლევა, იძახონ, რომ კომუნისტური პარლამენტი ხართო. ფაქტობრივად, მათ ასეთი შეძახილებისთვის უნდათ ერთპარტიულობაზე შეჯერება. თუ შევლენ, ასეთი შეძახილების საფუძველი აღარ ექნებთა. ასეთი რამისთვის ღირს თუ არა, თუნდაც, იმ პატარა პარტიების გაწირვა, არ ვიცი. სხვა ხარვეზი, კრიზისი, ქვეყნის წინაშე არ იქნება იმიტომ, რომ მთავრობა დაამტკიცებს, პარლამენტი მიიღებს, ერთი რაც არის კონსტიტუციურ ცვლილებებს ვერ მიიღებენ, ეს არის და ეს.

— პარლამენტში შესვლა-არშესვლით ვაჭრობა უკვე ტრაგიკომედიას დაემსგავსა...

— კომედიის წინ რა თქვით?

— ტრაგი-კომედიაა-მეთქი.

— აი, მე რაც ტრაგი-ს ნაცვლად მომესმა, მგონი იმას უფრო ჰგავს მათი საქციელი.

— თავის დროზე ყველაფრისთვის თავის სახელი რომ დაგვერქვა და ელჩებიც, ახლა, „ნაციონალებს“ პარლამენტში შესვლას კი არ ეხვერწებოდნენ, არამედ ნება მოეცათ იქ გაგვეშვა, სადაც მათი ადგილია, დღეს სულ სხვა სურათი ხომ არ გვექნებოდა?

— დიახ, ყველაფერს თავის სახელი რომ დარქმეოდა, დღეს ბევრი რამ სულ სხვაგვარად იქნებოდა. ერთ-ერთი, ყველაფერზე თავისი სახელის დარქმევა, უდაოდ, იქნებოდა ის, რომ გვეთქვა: „ნაცმოძრაობა“ ეს არის უამრავი დანაშაულის ჩამდენი კრიმინალური ჯგუფი. თავადაც ხომ იცოდნენ, რომ კრიმინალურ ჯგუფს დაუძახებდნენ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მათი დევნა დაიწყებოდა. ამიტომ, ერთ-ერთი პირველი, რაც მათი მხრიდან გაკეთდა, ეს იყო დასავლეთთან კავშირი, რათა ამ უკანასკნელს ივანიშვილისთვის წაეყენებინა პრეტენზია — „ნაცებთან“ კოაბიტაცია დაამყარეთ და წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ხელი არ ახლოთო. ანუ, თავიანთი პოლიტიკური ოპოზიციის სტატუსით მათ იპოვეს საფარველი, ჯავშანი იმისა, რომ სამართლებრივი დევნისგან გათავისუფლებულიყვნენ. დასავლეთმა ივანიშვილს რკალი შემოარტყა, რასაც თავად აღნიშნავს და იგი იძულებული გახდა დაეთმო. მას წინააღმდეგობა რომ გაეწია, მაშინ ამუშავდებოდა უზარმაზარი მანქანა სათაურით — ივანიშვილი რუსეთის პროექტი. ამიტომ, ამ ფორმულიდან თავის ასარიდებლად ბევრი რამ გაკეთდა: დაწყებული იმით, რომ ივანიშვილმა კოალიციაში შეიყვანა პრო-ევროპული ჯგუფები — „რესპუბლიკელები“ და ალასანია, დამთავრებული იმით, რომ მაქსიმალურად კორექტულად შედგა კოაბიტაცია. მერე, აღმოაჩინა, რომ თურმე, კოაბიტაციის დაცვა არც ისე ცუდი რამეა იმიტომ, რომ „ნაციონალების“ სახით სასარგებლო საფრთხობელა შეიქმნა. ასე, რომ კოაბიტაცია მომგებიანი გახდა. ამიტომ, ყველაფერზე თავისი სახელის დარქმევის საშუალება „ქართულ ოცნებას“ თავად „ნაციონალებმა“ არ მისცეს.

— ბატონო რამაზ, რეალურად, თავად ოპოზიცია ხომ არ არის რუსული აგენტურა, მე-5 კოლონა, რომელიც ხელახალ არჩევნებს ითხოვს. რუსეთი გვიახლოვდება და არც ის მგონია, ნატოში ჩვენი შესვლა უხაროდეს?

— არა, რუსეთს ასე ადვილად ვერ გავახარებთ. გეთანხმებით, რომ რუსეთს არც ჩვენი ნატოში შესვლა გაუხარდება, არც ნატოსკენ ჩვენი მოძრაობა და ა.შ. მაგრამ გარდა ასეთი, ზოგადად, ნათქვამი ვერსიისა, ჩვენ, რამდენიმე კონკრეტული მოვლენა გვაქვს: სააკაშვილმა თავის დროზე სამხედრო მოშზადება უკრაინაში სასაზღვრო ჯარებში გაიარა, რომელიც კაგებეს დამორჩილებაშია. თავად სააკაშვილის ბედ-იღბალს — როგორც უკრაინაში, ისე უცხოეთში წასვლას აკონტროლებდა, მეურვეობდა ბიძამისი თემურ ალასანია, ასევე, კაგებეს ჩინოსანი. იგი, სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ მოვიდა, მინისტრთა კაბინეტის სხდომებს ესწრებოდა, ქართულ პროცესებში ჩართული იყო. ასევე, რუსეთიდან ჩამოყვანილ კახა ბენდუქიძეს ჩააბარეს მთელი ეკონომიკა. მან გადაულოცა საკვანძო სტრატეგიული ობიექტები რუსულ ბიზნესს და ისიც განაცხადა: სტრატეგიული ობიექტი გაუგებარი ცნებაა. ასევე, გრიგოლ ვაშაძეც რუსეთში მომსახურე და შესაბამის სამსახურებთან დაახლოებული პირი, სააკაშვილის ჩამოყვანილია. სააკაშვილის პერიოდში მოხდა ჯერ აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ფარგლების გაფართოვება, მერე, კოდორიდან ჯარების გამოყვანა დაუშვეს, ბოლოს ომის წამოწყება და სასწრაფოდ წაგება. შედეგად, მთელი ამერიკული ტექნიკა რუსებს დარჩათ და ის ტერიტორიებიც, რაც გარკვეულწილად, სააკაშვილმა გადასცა. მეტი რა უნდა ქნას ადამიანმა იმისთვის, რომ რუსულ ინტერესებს ემსახუროს. მე, საბუთები არ მაქვს, მაგრამ ეს თანხვედრა მოვლენებში საკარაუდოს ხდის, რომ ნებით თუ უნებლიედ, ეს ადამიანი ხელს უწყობდა რუსულ ინტერესებს. ასევე, ნებით თუ უნებლიედ, სააკაშვილი დღესაც ხელს უწყობს რუსულ ინტერესებს, როცა ცდილობს, რომ ოპოზიცია დესტაბილიზაციის კერა იყოს. თუ გვახსოვს, იგივე დარიგებებს სააკაშვილის ბიძა აძლევდა გუბაზ სანიკიძეს. საბედნიეროდ, ეს დარიგებები არ შესრულდა. ასე, რომ გვაქვს ასეთი პროცესი. ამას ვერაფერს ვუზამთ. ერთი რამ გავითვალისწინოთ: „ნაცმოძრაობამ“ მშვენივრად იცოდა, რომ იგი შეიძლება რუსეთთან ურთიერთობაში დაედანაშაულებინათ. ეს ბრალდება ომის მერე გავრცელდა, რასაც ძალიან გაბედული სამხედროები შეეწირნენ მაშინ, როდესაც ესენი გაუჩინარდნენ. დიახ, რადგან იცოდნენ, რომ ეს შეიძლება გაჟღერებულიყო, ამიტომ სანამ სხვები იტყოდნენ, თვითონ დაიწყეს სხვებზე ძახილი: რუსების აგენტები არიანო. ივანიშვილს ეძახიან: რუსული პროექტიაო. სულ აპელირებენ იმით, რომ უცხოელი პოლიტიკოსებიც და დიპლომატებიც ამბობენ: ივანიშვილი რუსული პროექტიაო. ანუ, რუსული პროექტის იარლიყის ინსტრუმენტს ფართოდ იყენებენ და ალბათ, ესეც ერთ-ერთი მექანიზმია, რითაც სააკაშვილს ეს პარტიები „უჭირავს“. ამიტომ, ცდილობენ მისი მითითებები შეძლებისდაგვარად შეასრულონ. თორემ, „ვარდების რევოლუციიდან“ მოყოლებული, როცა ივანოვი საქართველოში ჩამოვიდა, გამოჩნდა, რომ ამ პროცესების აქტიური მონაწილე იყო. აქედან მოყოლებული, რუსული თემა „ნაციონალების“ მოღვაწეობას წითელ ზოლად მიჰყვება.

— მოდით, არჩევნების გაყალბების თემას დავუბრუნდეთ: „ნაცებმა“ 27% ხომ მიიღეს. საინტერესოა, აბა, რამდენი უნდა მოეღო ამ მკვლელების პარტიას? ანდა, ელისაშვილის გუშინ წამოჩიტულ პარტიას მეტი ხმა ეკუთვნოდა?

—ამ კითხვას გამოკვლევებით შეგვიძლია ვუპასუხოთ. ზოგადი კონტურით, პირველ ადგილზე „ქართული ოცნება“ გავიდა, მეორეზე — „ნაცმოძრაობა“, დანარჩენი პროცენტები პატარა პარტიებმა გადაინაწილეს. ასეთი იყო ყველა გამოკვლევის შედეგი, მათ შორის, ოპოზიციის დაკვეთით ჩატარებულისაც. რის მიხედვით ხელმძღვანელობენ, როცა უფრო მეტს ითხოვენ? — არაფრის მიხედვით. უნდათ, რომ ასე იყვირონ და ყვირიან კიდეც. ოპოზიციას იმის არგუმენტი თუ რამდენი ეკუთვნოდა სინამდვილეში, არ აქვს. ამიტომ, უკავიათ ასეთი პოზიცია: ჩვენ, სიმართლისთვის ვიბრძვით, რათა გაყალბება არ დავუშვათ და არა მაინცდამაინც გამარჯვებისთვისო. თუმცა, ისე იქცევიან, სანამ მათ გამარჯვებას არ ვაღიარებთ, არ ჩერდებიან. ეს როგორ უნდა აღიარო, გაუგებარია. 27% აქვთ ხომ. უნდათ თქვან, რომ ორჯერ მეტი აიღეს და გამარჯვებულები არიან?! ასეთი გაყალბებები არ ხდება. 27%-იანი გაყალბებები სააკაშვილის დროსაც კი იშვიათობას წარმოადგენდა. ამიტომ, ამ პროცესების სერიოზული აღქმა მიჭირს, ლოგიკური საფუძველი არაფერს ეძებნება.

— ბატონო რამაზ, ბოლოს მინდა გკითხოთ: რა ერთობაზეა საუბარი, ამათ იმედზე უნდა იყოს ქართველი ხალხი?

— როგორც ჩანს, არც ერთობა არ არის დამაჯერებელი და არც მათი იმედი არ უნდა გვქონდეს. სანამ სერიოზული პარტიული ძალები არ მომწიფთება და მხოლოდ იმაზე ვიდავებთ: ვის რა პლატფორმა უკავია და არა მათ უნარზე, იქამდე არავის იმედი არ უნდა გვქონდეს. სამწუხარო სურათი ის არის, რომ სახელმწიფოს საჭისკენ მოდიან ადამიანები, რომელთაც უნარი არ აქვთ სახელმწიფოს მართვის კი არა, უმარტივესი რამეების — პატარა ჯგუფის მართვისაც კი. ბრძოლის გამოცდილება აქვთ, ოღონდ, ისეთი რაც თქვენ მოიხსენიეთ — უშარვლოდ და ა.შ. პოლიტიკური კლასის ამ დღეში ყოფნაც სააკაშვილს უკავშირდება. მან პოლიტიკურ თანამდებობებზე დაიწყო ნაცნობების დანიშვნა — ხან თვითმფრინავში გაცნობილის, ხან ქუჩაში და იმ ხალხის წამოწევა, რომლებიც მართლაც თამაშობდნენ პოლიტიკით. გავიხსენოთ, იმერეთის ახალგაზრდა გუბერნატორი, რომელიც ბოთლში კალმისტრის ჩადების თამაშით ერთობოდა. ანუ, ეს გუნდი არ იყო მომწიფებული საიმისოდ, რომ ქვეყნის საჭესთან დამდგარიყო. სააკაშვილმა კი ისინი სხვადასხვა საჭეებთან დააყენა. სწორედ, იქედან იწყება ქართულ პოლიტიკაში არასერიოზულობის ტალღა და კომიკური პერსონების მოზღვავაება. ამიტომ, „ნაცების“ განშტოებებსაც არასერიოზულობის ნიშანი ადევთ. ისინი, ხშირად იქცევიან არასერიოზულად, თავშეუკავებლად. იდეები აქვთ მარტო იმიტომ, რომ რაღაც თქვან და არა იმიტომ, რომ იდეას შედეგი მოჰყვეს. დღეს ოპოზიციური სპექტრი მომწიფებული არ არის იმისთვის, რომ სერიოზულ პოლიტიკაში იყოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ხელახალი არჩევნები გამოსავალი კი არ არის, ეს არის საბედისწერო ფინალი საქართველოსთვის, რომელიც აუცილებლად სამოქალაქო ომით დამთავრდება

ვახტანგ ხარჩილავა:

მნიშვნელობა არა აქვს უკვე, ეს ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიები პარლამენტში შევლენ თუ არ შევლენ – მათ ბოლომდე ამხილეს საკუთარი თავი და მთელ ქვეყანას აჩვენეს, რომ სააკაშვილის მონები არიან და მის გარეშე, მის დაუკითხავად, გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ.

ამ შვიდი პარტიიდან ერთიც ვერ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად გადადგას ნაბიჯი და სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ მიერ შემოთავაზებულ გეგმას გადაუხვიოს.

ამ შვიდი პარტიის ლიდერებიდან ერთიც ვერ აღმოჩნდა ისეთი, რომელზეც შეიძლება თქვა – კაცი ყოფილა, პიროვნება ყოფილა, ნახეთ, როგორ აუმხედრდა სააკაშვილის „გაიდლაინებს“ და როგორ ღირსეულად მოიქცაო.

ამ შვიდი პარტიიდან ერთი პარტია, ერთი პარტია კი არა, თუნდაც ერთი პოლიტიკოსი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც პოლიტიკურ ინტერესებს და ამბიციებს უყოყმანოდ გასწევდა განზე და იტყოდა: რა დროს ბოიკოტია? რა დროს გაყალბება-არგაყალბებაზე საუბარია? ქვეყანა გვეღუპება, ადამიანები გვეღუპებიან, ქართული სახელმწიფო განსაცდელშია – შევიდეთ პარლამენტში და იქიდან შევეცადოთ რაიმეთი დავეხმაროთ ჩვენს სამშობლოსო.

საერთოდ არ უყვართ თურმე ამ ფარისევლებს საკუთარი ქვეყანა, საერთოდ არ ედარდებათ საკუთარი ხალხი და მისი ბედ-იღბალი, თორემ ასე უღმერთოდ და არაადამიანურად როგორ მოიქცეოდნენ?

მართალია, საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს მთელ საქართველოს სხვა სადარდებელი არ ჰქონდეს, გარდა იმისა, ხაზარაძეს, ელისაშვილს, ნათელაშვილს თუ ბოკერიას ორი ხმა მოპარეს თუ სამი დაუმატეს, თუმცა, სინამდვილეში, შესანიშნავად იციან, რომ არავითარი გაყალბება არ ყოფილა – არჩევნების გაყალბების თემა სააკაშვილის და ბიძამისის მიერ ხელოვნურად და წინასწარგანზრახვით შემოგდებული თემაა, რომლის მიზანია სახელმწიფოს „ხავერდოვნად“ გადატრიალება და ხელისუფლების მიტაცება.

განა ამ პარტიებმა არ იციან, რომ „ნაცმოძრაობამ“ არჩევნების გაყალბებაზე მაშინ დაიწყო ლაპარაკი, როცა არჩევნების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და, აქედან გამომდინარე, არც ხმების დათვლა იყო დაწყებული, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობამ“ მათ მიერვე ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებით და ეგზიტპოლებით ზუსტად იცოდა, რომ ვერც თვითონ, ვერც მის სატელიტ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, ვერ აგროვებდა ხმების იმ რაოდენობას, რომელიც საკმარისი იქნებოდა „ქართული ოცნების“ დასამარცხებლად და კოალიციური მთავრობის დასაკომპლექტებლად.

ამიტომაც სასწრაფოდ იქნა ამოქმედებული „გეგმა-ბ“, ანუ ცრუ განგაში თემაზე – არჩევნები გაყალბდა!

ოპოზიციამ, ცხადია, „ნაცმოძრაობის“ ზეწოლით, კატეგორიულად უარყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების, აგრეთვე, მოლაპარაკებებში ჩართული დიპლომატიური კორპუსის მიერ შემოთავაზებული წინადადება, გადათვლილიყო ხმები და დაედგინათ სიმართლე.

ოპოზიციას სიმართლის დადგენა არ აინტერესებდა, ოპოზიციას სიმართლე არ სჭირდებოდა – მისი კატეგორიული მოთხოვნა იყო, მთლიანად შეცვლილიყო ცესკო-ს შემადგენლობა, დანიშნულიყო ხელახალი არჩევნები იმ იმედით, რომ ხელახალ არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ და სხვა ოპოზიციური პარტიები დიდი უპირატესობით „დაამარცხებდნენ“ „ქართულ ოცნებას“.

ფაქტობრივად, ოპოზიციის ეს მოთხოვნა არის ულტიმატუმი „ქართული ოცნების“ მიმართ – გადმოგვაბარეთ ხელისუფლება, თორემ ჩვენ ყველაფერზე წამსვლელები ვართ, მათ შორის სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებაზეო.

არსებობს გონივრული ეჭვი, რომ გათავხედებული და ზედმეტად თავდაჯერებული „ნაცმოძრაობის“ უკან საქართველოს მეზობელი ერთ-ერთი ზესახელმწიფოს სპეცსამსახურები დგანან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, რადიკალური ზომების მიღებასაც არ დაერიდებიან, რომ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ დაარ ჩოქონ და თავზე კვლავ თავისი კადრი, სააკაშვილი, დაასვან.

ეს რომ ასეა, ამის დამადასტურებელი ბევრი საჩოთირო ფაქტი არსებობს, დაწყებული ჩიტოგვრიტოს მიერ შემაჯამებელ მიტინგზე რუსულად შესრულებული სიმღერით, გაგრძელებული სააკაშვილის მიერ დასავლეთის მიმართ გაჟღერებული შეურაცხმყოფელი განცხადებებით და დამთავრებული ოპოზიციის ლიდერების აბუჩად ამგდები დამოკიდებულებით აშშ-ის ელჩის, ევროკავშირის ელჩისა და სხვა დასავლური სახელმწიფოების ელჩებისადმი.

როდის აქეთ გახდნენ ასეთი გულადები ეს ორფეხა ფინიები, ადრე სიტყვა „დასავლეთის“ ხსენებაზე ოთხ ფეხზე რომ დგებოდნენ და კუდს რომ აქიცინებდნენ?

– ოპოზიციის ქმედებებში ბევრ ისეთ ნიუანსს ვხედავთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, – თქვა „ქართული ოცნების“ ერთმა ლიდერმა, რომელიც თავისი პირდაპირობით აშკარად გამოირჩევა კოლეგებისგან.

შეიძლება ვიფიქროთ და ვივარაუდოთ კი არა, რასაც „ნაცმოძრაობა“ წლების განმავლობაში აკეთებს, ეს არის ღიად, დაუფარავად გამოხატული პროვოკაციების ერთმანეთზე მიწყობილი სერია, რომლის მიზანია, ქვეყანაში დესტაბილიზაციის, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება და ამ ფონზე ხელისუფლების ხელში ჩაგდება.

ხომ არ დაგავიწყდათ, მეგობრებო, რომ, სანამ არჩევნები დაიწყებოდა, მანამდეც არაერთხელ თქმულა, რომ „ნაციონალები“ არჩევნების მეორე დღესვე აპირებდნენ მასშტაბური საპროტესტო აქციების გამართვას ლოზუნგით „არჩევნები გაყალბდა!“

„ნაციონალებმა“ „პირობა“ შეასრულეს და თავიანთ მზაკვრულ გეგმაში ის ოპოზიციური პარტიებიც ჩართეს, რომლებმაც ბარიერი გადალახეს.

ხომ ცხადზე ცხადია, ხომ ნათელზე ნათელია, რომ ის, რაც 31 ოქტომბრიდან დღემდე ხდება, ეს არის „ნაცმოძრაობის“ მიერ დაგეგმილი დიდი შეთქმულება, რომელშიც ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიები უშუალოდ არიან ჩართულები.

თუ ეს წინასწარ დაგეგმილი შეთქმულებაა, მაშინ რით აიხსნება ეს გაუთავებელი შეხვედრები ოპოზიციის ლიდერებთან?

ხომ საინტერესოა, რას სთავაზობენ და რას სთხოვენ მათ ელჩები, რომლებმაც სხვადასხვა სანდო და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ზუსტად იციან, რომ არჩევნები არ გაყალბებულა და არჩევნების გაყალბების თემა მხოლოდ მოტივია, საბაბია, სინამდვილეში კი „ნაცმოძრაობას“ და მის ქვეშევრდომ ოპოზიციურ პარტიებს ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ, იმსახურებენ ისინი ამას თუ არ იმსახურებენ.

– რომ მოხდეს სასწაული და მართლაც რომ დაინიშნოს ხელახალი არჩევნები და იმ ხელახალ არჩევნებში ისევ „ქართულმა ოცნებამ“ რომ გაიმარჯვოს, რას იზამენ მაშინ „ნაციონალები“ და მისი „პადდელნიკები“, შეეგუებიან დამარცხებას? – ამ კითხვას თუ სვამენ ფასილიტატორი ელჩები.

ხელახალი არჩევნები ავტომატურად ნიშნავს დესტაბილიზაციას, ქაოსს, სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს, რადგან „ნაცმოძრაობისთვის“ ხელახალი არჩევნები – ეს არის ხელისუფლებაში მოსვლის ბოლო შანსი და თუ ისინი შეატყობენ, რომ ვერ იმარჯვებენ, ყველაფერზე წავლენ, მათ შორის სამოქალაქო დაპირისპირებაზეც.

ასე რომ, ხელახალი არჩევნები გამოსავალი კი არ არის, ეს არის ჩიხი, გარდაუვალი კატასტროფა, საბედისწერო ფინალი ქართული სახელმწიფოსთვის, ქართველი ხალხისთვის.

სააკაშვილი და მისი ბანდა საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებენ.

სააკაშვილი მღვდელი გაპონია, ხოლო მისი თანმხლები ოპოზიცია – სააკაშვილის პოლიტიკური ჰარამხანა.

ხელახალი არჩევნები აუცილებლად იქცევა გლადიატო-

რების არენად, დიდი არეულობის და დიდი დაპირისპირების საბაბად, რაც იმით დამთავრდება, რომ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაჯახებული ქართველების დასაშოშმინებლად და დასამშვიდებლად, რეგიონში სტაბილურობის აღსადგენად. ისე, როგორც ყარაბალში მოხდა, აქაც აუცილებლად შემოვლენ ჩვენი „კეთილისმყოფელები“ ჩრდილოეთიდან რითაც საბოლოოდ დამთავრდება საქართველოს დამოუკიდებლობის ოცდაათწლიანი მწუხარე და დრამატული ისტორია.

აი, ამ შეკვეთას ასრულებს სააკაშვილი და ამ შეკვეთის შესრულებაში ეხმარებიან მას ეგრეთ წოდებული ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც მაინცდამაინც ახლა, როცა ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, მაინცდამაინც ამ ჟამიანობის დროს მოუნდათ იდეალური საარჩევნო სისტემის შექმნა, იდეალური დემოკრატიის დამყარება.

რა საარჩევნო სისტემა და რისი დემოკრატია – არც ერთი გედარდებათ თქვენ და არც მეორე – თქვენ ჩვეულებრივი მოღალატეები ხართ, ოპოზიციონერები, რომლებიც იმ დროს წვდნენ ქვეყანას ყელში დასახრჩობად და მოსაგუდად, როცა ყველაზე მეტად გვიჭირს, როცა უამრავი პრობლემა გვახვევია გარს და არ ვიცით, რომელს გავუმკლავდეთ.

სულელებს და გონებაჩლუნგებს არ ჰგავხართ, რომ ვერ ხვდებოდეთ, რას აკეთებთ და რა განსაცდელს უმზადებთ საქართველოს და ქართველ ხალხს, ქართველ ხალხს, რომლის სახელითაც ასე მაღალფარდოვნად ლაპარაკობთ.

როგორც ჩანს, ქართველ ხალხად თქვენ მხოლოდ თქვენი მხარდამჭერები მიგაჩნიათ, თუმცა ის თქვენი მხარდამჭერებიც, სინამდვილეში, ფეხებზე გკიდიათ და მათაც ისევე იმეტებთ სიკვდილისთვის, როგორც დანარჩენ ქართველებს.

დარწმუნებული ვარ, თქვენი მხარდამჭერების უმრავლესობაც მალე მიხვდება, ვინ ხართ თქვენ და მხარდაჭერის ნაცვლად ერთ მამაპაპურ ჭიტლაყს ამოგკრავთ.

რაც შეეხება არჩევნებს, მეორედ კი არა, მესამედ და მეოთხედ რომ ჩატარდეს არჩევნები, ქართველი ხალხი „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებას არ დაუშვებს!

უფალს უსმინე, საქართველო!

ქართველთა ყოფა-ცხოვრება, ჰო, ცხოვრება-უმწეო უპირატესობათა მტკიცება. აღარ გაგვაჩნია ღირსება? ნუთუ ასეთია ღვთის ნება? არის თუ არა საქართველო ჭკუასუსტების ქვეყანა? როცა დიდმა ილიამ ორი-სამი პარტიის არსებობა შეიტყო თავზე ხელი შემოირტყა-მცირერიცხოვანი ერი ვართ, პარტიები დაგვღუპავს, გაგვაპარტახებსო. დღეს რამდენი პარტიაა სინამდვილეში? რა უნდათ ამ პარტიებს... რანაირი თვალებით შესცქერიან ამ პარტიათა ლიდერები, დახვითქინებულები პატიოსან ქართველობას...

კანონიერი ხელისუფლება დავამხეთ...

„ლაფიან სინამდვილეში“ იხრჩობა ბოროტის ხელით ქვეყანა“... „ჟამი ჩამოდგა, ნივთის ჟამი, ჟამი ჩამოდგა კუჭის.“ „ხემან ხენეშმან, გამოიღოს ნაყოფი ხენეში“...

ხომ გამოიღო! სააკაშვილიო, ვინ მოიყვანა ეს ჭკუასუსტი ან მისი წინაპარი ევერიის საჭეთმპყრობელად... ხომ ვხედავთ ახლა-ვეება ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ჰგავს საქართველო... არის თუ არა „საქართველო“ ლაფიანი სინამდვილის“ ღირსი?

ქართველებო, გაიღვიძეთ!



უფალო, უღმერთონი მოგვაცილე!

„ვით დიდგორში, ვით შამქორში, ისე აგვაქართველე!”

უფალს ვუსმინოთ, ქართველებო და გავიმარჯვებთ.

ირაკლი ვაშაყმაძე

კობა დავითაშვილის სხოვნას

ცოცხლების არ გეშინიათ, მაგრამ თქვენს მიერ მოკლული მიცვალებულების გეშინოდეთ, „ნაციონალებო“!

ერთი კვირის წინათ, 2020 წლის 9 დკემბერს, 49 წლის ასაკში გარდაიცვალა კობა დავითაშვილი, თუმცა ის „ნაციონალებმა“ გაცილებით ადრე, 2007 წლის ნოემბრის თვეში მოკლეს. კობამ მას შემდეგ კიდევ 13 წელი იცოცხლა, უფრო ზუსტად, 13 წელი იწვალა და იტანჯა.

„ნაციონალებმა“ მოკლესო, რომ ვთქვით, არაფერს არ ვაჭარბებთ – ნაცებმა ნამდვილად სასიკვდილოდ გაიმეტეს კობა დავითაშვილი, მკვდარი ეგონათ, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ვაი, იმ გადარჩენას.

სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა მოკლეს დავითაშვილი, – ასეთი კომენტარები კეთდება კობა დავითაშვილის ტრაგიკულ ხვედრთან დაკავშირებით, რაც, ცხადია, სიმართლეა, თუმცა მთლად ბოლომდე ნათქვამი სიმართლე მაინც არ არის.

კობა დავითაშვილი არა მარტო სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერებმა მოკლეს, არამედ ის მოკლეს „ნაცმოძრაობის“ რიგითმა მხარდამჭერებმაც, ათიათასობით და ასიათასობით ადამიანმა, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალურ რეჟიმს გვერდით ედგნენ, ამხნევებდნენ, აქეზებდნენ, ზურგს უმაგრებდნენ.

კობა დავითაშვილი ხელმეორედ მოკლა მოსახლეობის იმ 27%-მა, რომელმაც ვერავითარი დასკვნა ვერ გამოიტანა იმ სისხლიანი წლების შემზარავი გაკვეთილებიდან და მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს კვლავ „ნაცმოძრაობას“ დაუჭირა მხარი.

როცა მკვლელებს უჭერ მხარს, შენც მკვლელი ხარ, შენც მკვლელობის თანამონაწილე ხარ! – მწარე სიმართლეა ეს, რომელიც კარგად უნდა დაიმახოვრონ იმ ადამიანებმა, რომლებიც დღესაც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე ოცნებობენ.

ადრეც გვითქვამს და ისევ გავიმეორებთ: ტყუილად ჰგონიათ ვიღაც-ვიღაცებს, რომ მიცვალებულებს, რადგან ისინი მიცვალებულები არიან, ბრძოლა და შურისძიება არ შეუძლიათ.

მიცვალებულთა მიერ დამარცხებული ხელისუფლებები ბევრი გვინახავს და მომავალშიც ვნახავთ.

ცოცხლების არ გეშინიათ, მაგრამ თქვენს მიერ მოკლული მიცვალებულების გეშინოდეთ, „ნაციონალებო“!

ისინი არ მოგეშვებიან, სანამ არ დაგმარხავენ!

„საერთო გაზეთი“

ქაქში ჩაფლულები

ქაქში ჩაფლულ ე.წ. ოპოზიციას სადღაც უკანალში გადახვეწილმა თემურ ალასანიამ (მიხეილ სააკაშვილის ბიძამ) მორიგი მითითება მისცა. დავალების არსი მდგომარეობს შემდეგში: ამათ, ამ ქაქში ჩაფლულებმა ჯგუფებად უნდა იწანწალონ ქუჩებში, ლანძღონ პოლიციელები... დაემუქრონ, რომ დაიმახსოვრებენ, სახლებში მიაკითხავენ, თავებს გაუჭეჭყავენ, მათ შვილებს ეტყვიან, როგორი სამარცხვინო მშობლები ჰყავთ და ასე შემდეგ. ქაქში ჩაფლულები პერიოდულად უნდა მივარდნენ სახელმწიფო ობიექტებთან, მოაწყონ პროვოკაციები, პოლიციელებს ეძახონ მონები, თუ საჭირო იქნება, თვალებში შეასხან საღებავები და მომწამლავი ნივთიერებები.

მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას "პროექტი" უკვე ამოქმედებულია – ყველაფრის მკადრებელმა და ყველაფერზე ხელისმომწერმა სექტამ ქვეყანაში უნდა დათესოს ნიჰილიზმი, სახელმწიფო სტრუქტურებში გამოიწვიოს დემორალიზაცია და ძალოვან უწყებებში დანერგოს შიში.

ამ დღეებში სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო, სადაც ვინმე ასლან ვაშაყმაძე იმუქრება, ერთი პოლიციელი მაინც უნდა დავჩეხოთ, დედა მოვუტ...ნათ, დავწვათ, ავაფეთქოთ, ეს მაგალითი იქნება სხვებისთვის, უნდა შევაშინოთო. ვინმე ბნედიანი ასლანი ყოფილა ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის წევრი, რომელიც თურმე კენჭსაც კი იყრიდა აჭარის უმაღლეს საბჭოში. სხვათა შორის, "ნაციონალური" მოძრაობა მის განცხადებებს გაემიჯნა, ძალადობა და ეგეთი რაღაცები, ჩვენი ხელწერა არ არისო. ჰა, ჰა, ჰა... "ნაციონალებმა" თქვეს, ძალადობა ჩვენი ხელწერა არ არისო. არადა, ვინმე აჭარელი ასლან ვაშაყმაძე სწორედაც "ნაცმოძრაობის" ტიპიური სახეა, მან უბრალოდ გამოამჟღავნა თემურ ალასანიასგან მიღებული მითითება. ასეთ გამოხტომებს აქვს კიდევ ერთი მიზანი – დაუსჯელობის სინდრომის ჩათესვა, ერთი არ დაისჯა? მეორე არ დაისჯა? მესამე არ დაისჯა? გამოდის, გზა გახსნილია, ყველა წახალისებულია. მეორე დღეს თავად ირაკლა ოქრუაშვილმაც ამოიბუყბუყა, ვგმობ არა მხოლოდ ჩემი პარტიის წევრის გადაცდომას და პოლიციის დისკრედიტაციას, ნათია ლაზაშვილის დეგრადაციასაცო. ნათია ლაზაშვილი რაღა შუაშია? თურმე ირაკლას მისი პირით გაუგია ეს ამბავი, როცა "რუსთავი 2"-ის ეთერში გამოაცხადა. ავოიეეე... ესეც რომ კაი გვარიანად აპარებს "პიპკიდან", ცნობილი ფაქტია, მაგრამ ასე და ამნაირად? რა ვიცი, რა ვიცი!

ქაქში ჩაძირულებს "ზემოდან" დავალება აქვთ მიღებული, ყველას, ვინც კი ამ ქვეყანაში ავტორიტეტით სარგებლობს, უნდა ეძახონ მონა, რათა დააკომპლექსონ და ფსიქოლოგიურად გაანადგურონ. ეს არ გახლავთ ახალი მეთოდი, ეს კაგებეს დავთრებიდანაა, იოზეფ გებელსის ნაშრომიდან "გადმოკატავებული". ჰოდა, ნიკა (ჩაჯვი) გვარამიამ საწყის ეტაპზე მიზანში ნონა გაფრინდაშვილი ამოიღო, ჭადრაკის დედოფალი, ხუთგზის ჩემპიონი და სააკაშვილის რეჟიმთან მებრძოლი. იყო სახელოვანი ადამიანი და გახდა სამარცხვინოო, ჯერ ბადრი პატარკაციშვილისგან იღებდა ფულს, ახლა კიდევ ბიძინა ივანიშვილისგან იღებსო. ესე იგი, მონაააო. ჯერ ერთი, ქალბატონი ნონა იმსახურებს და მეორე – აქ ამოცანა გვეკითხება: თუკი ის იმიტომ არის მონა, რომ "ქართუდან" იღებს ე.წ. სტიპენდიას, მაშინ რატომ არ არიან მონები გიგა ბოკერიას დედა, ნანა ალექსანდრია და გიორგი გაბუნიას დედა – ჯულიეტა ვაშაყმაძე, რომლებიც ასევე იღებენ იგივე "ქართუდან" სტიპენდიას? ეტყობა, ჩაჯვის ეს ამბავი არ გაახსენდა, თორემ ნამდვილად გაწითლდებოდა. თუმცა, როდის იყო, ქაქი წითლდებოდა?!

შემდეგი იყო კახი კავსაძე. იჰ, მოკვდეს, ბიძინას ერთი მეხოტბე გამოაკლდებაო. ფაქტობრივად მოკლეს კაცი, გაანადგურეს... უფრო სწორედ, ეცადნენ, მაგრამ საქართველოსთვის საყვარელ კახი კავსაძეზე რომ იტყვი, ნეტა მოკვდესო, ეს უკვე პიკია, ქაქში ჩაძირვის პიკი, ამას ვერც კლინიკა შველის, ვერც პირადი ექიმი და ვერც ფსიქიატრიული დაწესებულება.

ასლან ვაშაყმაძე, ხულოელი ყაზილარი, რომელიც ადრე "ნაცმოძრაობაში" ირიცხებოდა და ფულის უკმარისობის გამო ოქრუაშვილთან გადახტა, დააპატიმრეს, მან დანაქადნები აღასრულა, 2 დეკემბერს ფოთში პოლიციელებს თავს დაესხა. ივჯდეს ახლა სპორტულებში გამოწყობილი თავისი "უმფროსივით" და იყმუვლოს მჭმუნვარე სახით, დედა მინდა, ფისი მინდაო. გააგებინებენ, ვინ არის მონა და ვინ კიდევ მონათმფლობელი.

სხვათა შორის, იგივე სასჯელს იმსახურებს პოლიციელებზე ათასჯერ გადამხტარი ელენე ხოშტარია, რომელმაც განათლება რუსეთში მიიღო, საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში და რომელიც ასევე თემურ ალასანიას დუდუკზე ცეკვავს. მან ამ დღეებში ჯოგური გაწევ-გამოწევისას პოლიციელებს თვალებში საღებავი შეასხა და ვითომც არაფერი, ჯერ კიდევ დეპუტატად ითვლება, ჯერ კიდევ იმუნიტეტი იცავს. აი, მე კი ფეხებზე მკიდია დეპუტატიც, "ჟეშტიანჩიკიც", ვექილიც და მომრიგებელ-მოსამართლეც, ვინც დანაშაულს სჩადის, ვინც პოლიციელის სახით სახელმწიფოს საღებავს, მომწამლავ ნივთიერებას ასხამს თუ ქვას ესვრის, ყველამ უნდა აგოს პასუხი.

ე.წ. რუსულ პროექტში ჩართულია ვითომ განათლებული, ვითომ ინტელექტუალი, სინამდვილეში კი გოიმი ლევან ბერძენიშვილი. მან "ქართული ოცნების" ამომრჩევლებს ავადმყოფები გვიწოდა. 2012-ში, როცა "ქართულ ოცნებას" მიეტმასნა, "ნაციონალებზე" იძახდა, ჯალათები არიანო. სანამ "ქართულ ოცნებას" მიეტმასნებოდა, ამტკიცებდა, ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში 7%-ზე მეტს ვერ აიღებსო. საერთოდ, აგენტს და მით უფრო რუსეთის აგენტს სინდის-ნამუსი არ სჭირდება, აგენტმა უნდა იმოქმედოს დავალებების შესაბამისად. ახლა მისცეს მითითება, "ოცნების" მომხრეები უნდა დავაჩმოროთ, ავადმყოფები და მონები უნდა ვუძახოთო და... ჰეეე, ამანაც გაუბერა. ეს ენაბლუ, მოხარშულ თევზს რომ მიუგავს თვალები, არის ყალბი – უნივერსიტეტში ბალღებს ატყუებს, ადრე დისიდენტი ვიყავი, ახლა კიდევ წიგნების მცოდნე გახლავართო, ისეთ აბდლურ რაღაცებს მოთხრის ხოლმე, ყურო, ნუ გაიგონებ. ამაზე ამბობენ, კომუნისტების დროს გაბოზდა, საკუთარი ძმაც კი ჩაუშვაო. მე მოვუწოდებ უნივერსიტეტელ ბალღებს, მის სტუდენტებს და არა მხოლოდ მის სტუდენტებს, ინტერნეტში მოიძიონ ჩვენება, რომელიც 1984 წელს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს მისცა. იქ ნახავენ, როგორი დისიდენტი ბრძანდება ლევან ბერძენიშვილი. მერე ისიც წაიკითხონ, ციხის უფროსის სახელზე წერილი რომ დაწერა, გთხოვთ, კაი ადგილზე გადამიყვანოთ, უკვე კაი ბიჭი გავხდიო. თუ არ დაიზარებენ, მის აბდაუბდა თარგმანებსაც გადახედონ და ქართველ კლასიკოსებზე მისი გამონათქვამებიც მოისმინონ. დისიდენტი და ინტელექტუალი არა, ჩემი ფეხები!

შემდეგი სულგაყიდული და ნამუსწაშლილი აგენტი გახლავთ შალვა ნათელაშვილი. ბიძინა ივანიშვილმა თავიდანვე იცოდა, რა ვაჟბატონიც ბრძანდება და ამიტომაც არ გაიკარა ახლოს. ეს არაადამიანი ყოველდღე გდია ტელევიზიებად წოდებულ უბორნიებში და უკანასკნელი სიტყვებით აგინებს ბიძინა ივანიშვილს, ბოლო დროს იმ დონემდე გაიხრწნა, ცოლ-შვილზეც კი გადავიდა. ამ საცოდავმა იმდენიც არ იცის, პოლიტიკა პოლიტიკაა, ბინძურია თუ დამპალი, ოჯახს, ცოლსა და შვილებს მაინც არ უნდა შეეხოს. შალოს თემურ ალასანიასგან აქვს მითითება, რომ (თავისი ჭკუით) უნდა გააფარჩაკოს ბიძინა ივანიშვილის ოჯახი. ძალიან რთული "მისიის" შესრულება იკისრა ამ მასხარად დაბადებულმა, ასეთი საქციელით საკუთარ გამოშტერებულ თავს იმარხავს!

ვინ არის მონა? მე და ჩემნაირები ვართ მონები, თემურ ალასანიას შუამავლობით რუსულ დავალებებს რომ არ ვასრულებთ თუ ესენი არიან, ფულის გამო ყველაფერს რომ კადრულობენ?

მე და ჩემნაირები არ დავწანწალებთ რუსეთსა და უკრაინაში, არ ვიღებთ ე.წ. განათლებას ჩიქორთული რუსულით მოსკოვში და არ ვუგორდებით ფეხებში დორბლიან მიხეილ სააკაშვილს!

ბიძინას მონები ხართო, გვეძახიან პერიოდულად!

ბიძინას მონები არ სჭირდება, ბიძინა არავისზე იძახის, მილიონს გადავუხდი, ვინც მავანს გააგორებსო, ბიძინა არ ითხოვს არაფერს, არც მადლობას უამრავი სიკეთისთვის!

ის ფარული ჩანაწერი გახსოვთ, ქოფაკმა თემურ ალასანიამ გუბაზ სანიკიძეს რომ დაურეკა და დავალებები მისცა, ხომ? ის ეუბნება, არავითარი მოლაპარაკება, არავითარი დათმობაო. როგორ გგონიათ, მონებს ასეთ მითითებებს უფასოდ აძლევენ? არა, ბატონებო, ალასანიამ ე.წ. ოპოზიციონრებს იმდენი გამოუგზავნა, იმდენი ჩაუდო, საერთოდ აღარ უღირთ პარლამენტში შესვლა.

გამოდიან და ამტიკიცებენ, ბიძინა ივანიშვილმა არჩევნები გაგვიყალბაო. წინააღმდეგობაში ცვივდებიან, ხშირად ავიწყდებათ, რომელ "ჩვენებას" უნდა მიაწვნენ – თუ მოსახლეობამ ხმა მისცა "ქართულ ოცნებას", რა შუაშია ბიძინა? თუ ბიძინამ გააყალბა არჩევნები, რა შუაშია ერი და ამომრჩეველი?

"ქართულ ოცნებას" არჩევნები არ გაუყალბებია!

არჩევნების გაყალბების ოსტატები არიან "ნაციონალები"!

უახლოეს მომავალში დეტალურად აგიხსნით, როგორ აყალბებენ "ნაცები" და მათთან გათანაბრებული პირები არჩევნებს. თქვე კაი ხალხო, ესენი თავიანთ წარსულს, ბიოგრაფიებს აყალბებენ, რანაირებიც თავად არიან, სხვებს აბრალებენ, არჩევნები რა ბედენაა? ნუ მაცინებთ.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ორიოდ სიტყვა ჩვენს „განათლებულ“ საზოგადოებაზედ, ანუ ქვეყანაა თუ ფსიქიატრიული საავადმყოფო?

ჯერ ისე რა იყო და... ამ "კოვიდ19"-მა მთლად გადარია ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაპატიეთ, ბოლო დროს ხშირად მგონია, ზოგიერთი დედამიწაზე არ ცხოვრობდა და ეს ესაა ჩამოსვეს მფრინავი თეფშიდან. დავანებოთ თავი იმას, რომ ზოგს სჯერა, ზოგს არ სჯერა, ზოგი იმას ამბობს, ზოგი ამას ამბობს, ზოგი ექსპერტობს, ზოგი "პრაფესორობს", აქ საქმე სხვა რამეშია, მე ვლაპარაკობ ფსიქიკურ გადახრებზე.

რასაც ახლა დავწერ, მერწმუნეთ, ნამდვილად არ მსიამოვნებს, მაგრამ ვერ ვითმენ: მოკლედ, ამას წინებზე ერთი ნაცნობი დამიკავშირდა უცხოეთიდან (ქვეყანას არ დავასახელებ, ევროპაშია), შეშფოთებული გახლდათ, ქოშინებდა. ბიჭო, ეხლა წავიკითხე აქაურ გაზეთში, თურმე კორონა, ადამიანი გაზებს რომ უშვებს, იმითაც გადადისო. აუჰ, შევიცხადე, მეგონა, მაშაყირებდა. ეგ რანაირად-მეთქი? რანაირად და... ვინმე შენთან ახლოს მდგომ დაავადებულს თუ გაეპარება, ეგრეევ დაბრედილი ხარო. ვააახ, ვზივარ და ვფიქრობ, მე გავგიჟდი თუ ამან გაუბერა? ისა და... პირბადე შველის-მეთქი? გააჩნია, თუ სუნი მაინც იგრძენი, წასულია შენი საქმეო. ერთი ეგ სტატია გამომიგზავნე-მეთქი. არ გამომიგზავნა, რაღაცები მიკიბ-მოკიბა. ბოლოს მითხრა, შენ მაინც ფრთხილად იყავი, ეგეთ შემთხვევებს მოერიდეო. ჰმ... ეგეც არ ვიცი, როგორ მოვერიდო, მე რა ვიცი, ვინ როდის ჭამა ლობიო?

გგონიათ, ეს სასაცილოა? თქვენ რომ გელაპარაკათ ამ პიროვნებასთან, ასე აღარ იფიქრებდით, უბრალოდ ტირილი მოგინდებოდათ. ვიცი, ამან სხვებსაც დაურეკა, სხვებიც გააფრთხილა და ბევრმა დაიჯერა. არ ვიცი, შეიძლება ამ გზით მართლაც გადადის, მაგრამ თავდაცვა როგორ ხდება, ეს ვერ გავიგე.

კიდევ ერთი ახალი ამბავი, რომელიც ელვისებურად გავრცელდა საზოგადოებაში: ხალხო, ჩვენ ზემოდან გვწამლავენ, ზოგიერთი "სამალიოტი" რო გადაიფრენს ხოლმე და ცაზე თეთრ კვალსა სტოვებს, მა ეგ რა არიო? რა არი და... ზემოდან რაღაცას გვასხამენო. თანაც დააკვირდით, ძალიან გვიან იშლებაო. ხედავთ? ხალხი უკვე დაკვირვებებს აწარმოებს ისეთ "ანომალიურ" მოვლენაზე, როგორიცაა "სამალიოტის" ტურბინებიდან გამომავალი თეთრი ბოლი. თუმცა, როგორც „საქაერონავიგაციაში“ განმარტავენ, ცაზე დარჩენილი თეთრი ხაზები სულაც არ არის ბოლი, ეს ყოფილა კონდენსაციური კვალი, რომელიც მაშინ ჩნდება, როცა სიმაღლეზე მშრალი ჰაერის მასას რეაქტიული ძრავის მიერ წვის პროცესში გამოშვებული წყლის ორთქლი ერევა. ამ დროს ის ყინულის კრისტალებად იქცევა და ცაზე თეთრ კვალს ტოვებს. ეს იგივეა, რაც ცივ ამინდში ადამიანის სუნთქვა, როცა პირიდან გამოშვებული ჰაერი ორთქლის მასად გარდაიქმნება. არ არის გამორიცხული, დადგეს დრო, როცა ადამიანი დატოვებს თეთრ კვალს და აი, მაშინ კი, ალბათ, ძალიან გაიოლდება ამოცნობა, გადადის თუ არა ვირუსი გაზობრივი გზით.

რა ეშველება ჩვენს ფრიად "განათლებულ" საზოგადოებას, სადაც ყოველი თუ არა, ყოველი მეორე მაინც პრეზიდენტობისთვის და პრემიერობისთვის არის მზად? აღარაფერს ვამბობ პარლამენტარობასა და სხვა უბრალო თანამდებობებზე. თქვენი არ ვიცი და... მე აშკარად ვხედავ ნარცისიზმით დაავადებულთა მოძალებას... მაგალითად, დღეს ნებისმიერ უწიგნურს შეუძლია, გამოვიდეს და ამტკიცოს, რომ გაზები მომწამვლელი ნივთიერებაა, მაგრამ ამას ხელისუფლება გვიმალავს, რადგან ბიძინა ივანიშვილს ჩვენი ამოწყვეტა აქვს გადაწყვეტილი. ეს ის ბიძინა ივანიშვილია, რომელმაც შავი ზღვა გადაიტანა თავის ეზოში. შეკვეთილში დენდროლოგიური პარკი რომ შენდებოდა, გახსოვთ, ხომ? აი, მაგ პერიოდში დიდი ბრძოლები მქონდა კახეთში, მომდგებოდნენ ხოლმე ჭკუით ნაკლულები და მკიცხავდნენ, ნეტა რას დაათრევს ამხელა კაცი ამ ხეებსა, მაგას არ ჯობია, ფული დაგვირიგოსო? ეეეჰ... არ გამოდგა ივანიშვილი პოლიტიკოსადაო, ფულის შოვნა იცის, მაგრამ პოლიტიკოსად არ ივარგაო... აი, ჩვენ რო ვიყოთ ხელისუფლებაშიო, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდაო. ჰო, ესენი რომ იყვნენ ხელისუფლებაში, ყველაფერი მართლაც სხვანაირად იქნებოდა, ყველაფერს დედა მოეტ...ვნებოდა. ისე, მეც ვერ ვარ მთლად დალაგებული... დავუჯდებოდი ხოლმე გამობენტერებულებსა და ვუხსნიდი, თუ რა დიდ საქმეს აკეთებდა ბიძინა ივანიშვილი, რა სასარგებლოსა და რა სასიკეთოს. როცა პარკი გაიხსნა, გაქანდნენ, გაგულავდნენ, გატრაკუნდნენ და ნასიამოვნებნი ჩამოტრაკუნდნენ. ჰა�ა, როგორი იყო-მეთქი? ییییფ, ძაან კაი იყო, მაგრამ ჩვენთვინ ფულიც რო დეერიგებინა, უფრო კაი იქნებოდაო. მადლობა არავის წამოსცდენია, აქვს და აკეთებსო, ვადებულიაო. გაიგონეთ? ვალდებულიაო.

რა სჭირს ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს? ამერიკის შეერთებული შტატების ინტელექტუალური შეზღუდვის ასოციაციის განმარტების მიხედვით, ინტელექტუალური შეზღუდვა არის მნიშვნელოვანი გადახრა ზოგადი ინტელექტუალური ფუნქციონირების დონიდან, რომელიც ადაპტაციური ქცევის დეფიციტს უკავშირდება და ვლინდება ადამიანის განვითარების პერიოდში. ამ დროს ინტელექტის კოეფიციენტი არის ნორმაზე საგრძნობლად დაბალი. გონებრივ ჩამორჩენილობაზე მსჯელობა შესაძლებელია, თუ IQ 70-ზე დაბალია. ის ხასიათდება ინტელექტუალური უნარების დაქვეითებით და ადაპტაციური უნარების ორ ან მეტ სფეროში დარღვევით. "ფედერალური რეაბილიტაციის აქტის" თანახმად, გონებრივი ჩამორჩენილობა მოიცავს ოთხ კატეგორიას: ფსიქიკური შეზღუდულობა, ჩამორჩენილობა, სწავლის უნარის შეზღუდვა და შემეცნებითი უნარის დაზიანება, რაც ფაქტობრივად ნიშნავს აზროვნების დაზიანებას და კრიტიკული უნარის დაქვეითებას. დავუშვათ, ნიკა (ჩაჯვი) გვარამიამ ტელევიზორში გამოაცხადა, გუშინ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძეს ბოთლი ესროლაო, ამას საზოგადოების ნაწილი ისე იჯერებს, საერთოდ არ უჩნდება ეჭვი, ტყუილია თუ მართალი. ნორმალური ადამიანის თავში (წესით) ამ დროს უნდა ირთვებოდეს მოვლენათა განსჯის კრიტიკული უნარი და ჩნდებოდეს კითხვები: ნუთუ? ეს როგორ? ბოთლი? იქნებ სანთებელა? იქნებ ტელეფონი? ან იქნებ სულაც არაფერი? პრემიერი ამას გააკეთებდა? არა, ბევრთა თავებში ასე არ ხდება, იქ ჩართულია მხოლოდ ერთი "რიჩაგი" – რასაც ტელევიზორში ამბობენ, სიმართლეა, ტელევიზორში ტყუილს ხომ არ იტყვიან? არადა, ყველაზე ბევრ სიცრუეს ტელევიზორში ამბობენ. სიცრუეს კი არა, ხშირად ისეთ არაადეკვატურ ამბებს გადმოსცემენ, ნორმალურმა ადამიანმა პირი უნდა დააღოს... აგერ, 30 ნოემბერს 17-საათიან საინფორმაციოში ე.წ. ჟურნალისტი ამბობს, ვინმე ეკატერინე მჟავანაძე, რომელსაც ვირუსი აქვს და 18 თვის ორსულია, აცხადებს, შუშის სასახლეში რო კაცია, დათმოს ხელისუფლებაო. ჯერ ერთი, შე შობელძაღლო, თუ ვირუსი შეგეყარა და 18 თვის (?) ორსული ხარ, რა გეშუშისსახლევება? მეორეც – რატომ უნდა დათმოს იმ კაცმა ხელისუფლება, ვინ ჩემი ფეხები ბრძანდები?!

გონებრივი ჩამორჩენილობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფორმა გახლავთ ჭიქაში ქარიშხლის დაყენების მცდელობა. შეხედეთ ჟოპოტელევიზიებს – "ტვ პირველს", "მთავარ არხს" და "ფორმულას", ამათი გადაცემების თანახმად, საქართველო აღარ არსებობს, დაინგრა, მორჩა, დამთავრდა, მშიერი ხალხი ქუჩაში ყრია, ცივა, ქარია, სახლ-კარი ყველამ დაკარგა, ირგვლივ დემონები დათარეშობენ, ადამიანებს აწამებენ, ხოცავენ, ქუჩებში სისხლის მდინარეები მოედინება... უგულავა, ბოკერია, მელია, ვაშაძეები, თაკო, ვაკო და პრაკო ცდილობენ, ეს უბედურება შეაჩერონ, მთავარი დემონი ალაგმონ, მაგრამ ამ ეტაპზე არაფერი გამოდის. გამორთავ ამ არხებს, სადაც ძირითადად დაავადებულები მუშაობენ, გახვალ, გაიხედ-გამოიხედავ და დარწმუნდები, რომ რეალური სურათი საპირისპიროა, სულ სხვანაირია – ხალხი ჩვეულებრივად დადის, არც სისხლის მდინარეებია, არც დახოცილი ადამიანები ყრია ქუჩაში, ძვირადღირებული მანქანები აღარ ეტევა, ცოტა ცივა, მაგრამ პერიოდულად მზეც გამოანათებს ხოლმე, მთვარეც ჩვეულებრივად ამოდის, ზოგჯერ მრგვალი არ არი, ზოგჯერ ნამგლისებურია, მაგრამ ეგეც არაფერი, თვის ბოლოს დამრგვალდება.

როგორც მსოფლიოში ცნობილი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, კრიტიკული უნარის შეზღუდვა იწვევს ცნობიერების დაქვეითებას და გემოვნების გაფუჭებას – ამ დროს ადამიანი მიილტვის ცუდისკენ, გულში ეძალება ბოღმა, კარგი ეჩვენება ცუდად, ხოლო ცუდი, ანუ ხიხია ეჩვენება სასიამოვნოდ. ცნობიერებადაქვეითებული ადამიანისთვის "ფეჩი" გარმონია, გარმონი – "ფეჩი", მაწონი შავია, მკვლელი – სიკეთის განსახიერება, ყაჩაღი – პატრიოტი, დორბლიანი მიხეილი – უზადო ინტელიგენტი. ალბათ გახსოვთ, ამას წინებზე მიხეილს პირდაპირი ჩართვის დროს პირიდან დორბლი წამოუვიდა, ეს ფრაგმენტი ამოვჭერი და მის მომხრეს, მის ფანს (ჩემს ნაცნობს) გავუგზავნე – ნახე, ვისზე აფანატებ, ეგეთი ავადმყოფი როგორ შეიძლება მოგწონდეს-მეთქი? იცით, როგორი რეაქცია ჰქონდა? უییი... ჩემი საყვარელი დორბლიანییი! მოეფერა, მისი დორბლიც კი მარგალიტებად მოეჩვენა. ჩემი აზრით, ეს არის ტრაგედია, ასეთებთან საუბარი არ ღირს, აზრი არ აქვს. აი, სწორედ ასეთები ავრცელებენ უცნაურ ამბებს და ისე ავრცელებენ, რომ ბევრს სიმართლე ჰგონია. იმის ნაცვლად, რომ ადამიანმა საკუთარ თავზე, ოჯახზე და ახლობლებზე იზრუნოს, ზის კომპიუტერთან და ამტკიცებს, რომ კოვიდი თურმე კუილითაც გადადის... თურმე ჩვენ ზემოდან გვწამლავენ, რადგან ზოგიერთი თვითმფრინავი ცაში თეთრ კვალს ტოვებს... თურმე საკაშვილის დორბლიც კი საყვარელია.

ეეჰ... როდესაც უნივერსიტეტში ჟურნალისტის სპეციალობას ვეუფლებოდი, მეგონა, სულ მაღალ მატერიებსა და სერიოზულ საკითხებზე მომიწევდა წერა... ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ქართულ საზოგადოებაში თვითმფრინავის ბოლისა და ვიღაც დამთხვეულის დორბლი ძალზედ აქტუალური იქნებოდა. სამწუხაროდ, ასე დამდაბლდა, გამოშტერდა და გაუბედურდა ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ოცდაათი წლის წინათ, ოცდათი წლის შემდეგ...

ვინც ზვიად გამსახურდია დაამარცხა, მან დაამარცხა საქართველო! ვინც ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაზე ოცნებობს, მას საქართველოს დამარცხება სურს!

ეს დრო რაღაცით ჰგავს გასული საუკუნის 90-იან წლებს, როცა გარე ძალების წაქეზებით და მათივე ორგანიზებით, ოპოზიციური პარტიების ერთმა ნაწილმა და მათ ზურგს ამოფარებულმა კომუნისტურმა ნომენკლატურამ საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დამხობა გადაწყვიტა და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დიდ სამზადისს შეუდგა.

დიახ, ეს დრო ძალიან ჰგავს გასული საუკუნის 90-იან წლებს.

ჰგავს თავისი პიარტექნოლოგებით, ლოზუნგებით, პოლიტიკური სინტაქსით, მოწოდებებით.

ჰგავს თავისი სიბრიყვით, სისულელით, იდიოტიზმით, რომელიც ამ მოწოდებებშია ჩადებული.

ჰგავს პარანოიკული გამოხტომებით, ნგრევის ექსტაზით შეპყრობილი გიჟის თავგანწირვით, რომელიც ვერ აკონტროლებს თავის მოქმედებებს და არც იცის და არც აინტერესებს, რას რა მოჰყვება, ოღონდ წინასწარ აკვიატებულ მიზანს მიაღწიოს.

●

— ძირს დიქტატორი გამსახურდია!

— გამსახურდია — ჩაუშესკუ!

— გამსახურდიამ დასავლეთს უღალატა და რუსებს შეეკრა!

— გამსახურდია — დემოკრატიის მესაფლავე!

— გამსახურდია-ხაზინის ქურდი, რომელმაც ბიუჯეტის ფულით მერსედესი იყიდა!

— გამსახურდია პოლიტიკური ნიშნით დევნის ოპონენტებს!

— გამსახურდიას პოლიტიკური პატიმრები ჰყავს!

— ყველანი ერთად გამსახურდიას წინააღმდეგ!

— ერთად დავამარცხოთ გამსახურდია!

გახსოვთ ეს ფრაზები? გეცნობათ ეს ფრაზები?

თუმცა რაღა ცნობა და გახსენება უნდა — მიაყურადეთ „ნაცმოძრაობის“ და ოპოზიციის მოწოდებებს, ჩასვით იქ გამსახურდიას ნაცვლად ივანიშვილი და ყველაფერი იგივეა, რაც ოცდაათი წლის წინათ იყო.

არა მარტო ლოზუნგები და მოწოდებები, ადამიანთა ტიპაჟებიც კი, რომლებიც დღეს ივანიშვილის დამარცხებისკენ მოგვიწოდებენ, თითქოს პროტოტიპები არიან იმ ოცდაათი წლის წინანდელი მოვლენების მთავარი პერსონაჟებისა.

ჯაბა იოსელიანი — ჟორიკა რურუა, თენგიზ სიგუა — გიგა ბოკერია, თენგიზ კიტოვანი — ირაკლი ოქრუაშვილი, ლუიზა შაკიაშვილი — ელენე ხოშტარია, ირაკლი წერეთლი — ნიკა მაჭუტაძე და ა.შ. და ა.შ.

ოცდაათი წლის წინათაც ზუსტად ისე, როგორც დღეს, გვარწმუნებდნენ, რომ თუ ზვიად გამსახურდიას ვერ დაამარცხებდნენ და ვერ ჩამოგდებდნენ, საქართველო დაიღუპებოდა, დაიღუპებოდა უძვირფასესი მონაპოვარი — დემოკრატია, ხოლო ჩვენ, იმპერიის მარწუხებისგან თავდაღწეულნი, რომლებმაც ნანატრი თავისუფლება მოვიპოვეთ, კვლავ დიქტატურის უღელქვეშ ამოვყოფდით თავს, როგორც მონები.

აი, ეს უბედურება რომ არ მომხდარიყო, საჭირო იყო მხოლოდ ერთი რამ — „დიქტატორ“ ზვიად გამსახურდიას დამხობა!

თუ ეს მოხდებოდა — გადავრჩებოდით და ქვეყანა წალკოტად გადაიქცეოდა.

და ვინ ხელმძღვანელობდა ამ „წმინდათა წმინდა“ ომს თავისუფლებისა და დემოკრატიის გადასარჩენად?

ვინ და „კანონიერი ქურდი“!

მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, სადაც მსგავსი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო, საქართველოში კი მოხდა!

სულ მალე გაირკვა, რომ იმ ძალებს, რომლებმაც, დემოკრატიის გადარჩენის მოტივით, წარმოუდგენელი მასშტაბების უბედურება დაატეხეს თავს საქართველოს, არც დემოკრატია აინტერესებდათ, არც ქვეყნის ბედი აწუხებდათ — მათ მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდათ — დაუბრკოლებლად ეძარცვათ ქვეყანა, რაც ლეგიტიმური ხელისუფლების არსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იყო.

იმას, რაც საქართველოში მოხდა, თამამად შეიძლება ვუწოდოთ საუკუნის ძარცვა, რომლის მსგავსი საქართველოს არსებობის მანძილზე არცერთ მომხდურს და დამპყრობელს არ ჩაუდენია. მას შემდეგ კი, რაც ძარცვა-გლეჯას მორჩნენ, იმაზე იზრუნეს, რომ პოლიტიკური ძალაუფლებითაც განემტკიცებინათ პოზიციები და ამით დაეზღვიათ ნაძარცვ-ნაალაფარი.

გამსახურდია კი დაამარცხეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გამსახურდიასთან ერთად დაამარცხეს საქართველო და ქართველი ხალხი, რომელმაც ამ დამარცხების შემდეგ სული ვერ მოითქვა.

ისე ღრმა და უძირო იყო ის უფსკრული, რომელშიც საქართველო გადაჩეხეს, ჩვენ დღესაც იმ უფსკრულიდან ამოფორთხების პროცესში ვართ, მოვფორთხავთ, მოვფორთხავთ და ვერა და ვერ ამოვფორთხებულვართ ზედაპირზე.

ჩვენ არ გვაცალეს დიდი ხნის ნანატრი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების სიხარულისგან გამოფხიზლება და ერთ წელიწადში ქვეყანა თავზე დაგვალეწეს.

თუ გახსოვთ, ამ საბედისწერო მოვლენებს წინ უძღოდა ერთი მნიშვნელოვანი ამბავი — ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ იწყებდა ქვეყნის ქონებისა და სახელმწიფოში არსებული სხვადასხვა რესურსების ინვენტარიზაცია.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ იმ ძალებს, რომლებმაც გამსახურდიას დამხობა გადაწყვიტეს, სწორედ ამ განცხადებამ მისცა ბიძგი და მოტივაცია, რომ ოპერატიულად, სასწრაფოდ ემოქმედათ და ქვეყნის ქონებას მანამდე დაპატრონებოდნენ, სანამ ის სახელმწიფო დოკუმენტებში მოექცეოდა და სათანადო აღრიცხვას დაექვემდებარებოდა.

შეიძლება ეს ვერსია არ იყოს მხოლოდ ერთადერთი მიზეზი 90-იან წლებში მომხდარი ამბებისა, თუმცა ის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რომ იყო, ეს მალევე გამოჩნდა, როცა ხელისუფლების დამხობისთანავე დაიწყო ქვეყნის ნამდვილი ძარცვა, რაც მოგვიანებით ე.წ. პრივატიზაციით დაგვირგვინდა, რასაც ხალხმა სამართლიანად უწოდა „პრიხვატიზაცია“.

არც დემოკრატია გახსენებია ვინმეს, არც თავისუფლება, არც სამართლიანობა, არც სხვა ფასეულობები და ღირებულებები, რისი სახელითაც და რის გამოც დაამხეს გამსახურდია — ქვეყანას ყაჩაღების და მოროდიორების ლაშქარი შეესია და პირწმინდად გაძარცვა და გააპარტახა იგი.

2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მძარცველთა ძველ თაობას მძარცველთა ახალი თაობა შეემატა მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით და რაც ძველებს მორჩათ, ახლა ამ ახლებმა მიიტაცეს და მიისაკუთრეს.

2012 წლის ოქტომბერში ქართველი ხალხისა და ბიძინა ივანიშვილის თავგანწირული ბრძოლის შედეგად ამ ყაჩაღებისა და ბანდიტების ხელისუფლებიდან ჩამოშორება მოხერხდა, თუმცა ვერ მოხერხდა მათი მთლიანად ამოძირკვა და ამოშანთვა, რის შედეგადაც ისინი კვლავ ხელისუფლებაში მობრუნებას აპირებენ და ერთხელ უკვე წაგებული არჩევნების ხელახლა ჩატარებას ითხოვენ.

თუ კარგად დააკვირდებით ამ ოპოზიციურ სპექტრს, აღმოაჩენთ, რომ ორიოდე სუბიექტის გამოკლებით, მთლიანობაში ეს ძალა პირდაპირი სამართალმემკვიდრეა იმ ძალებისა, რომლებმაც კანონიერად არჩეული ხელისუფლება იარაღით დაამხეს, მოგვიანებით კი პრეზიდენტი გამსახურდია მოკლეს.

თავიანთი ბინძური ზრახვების აღსრულებაში ადრე თუ ზვიად გამსახურდია უშლიდათ ხელს, ახლა ბიძინა ივანიშვილი უშლით.

მაშინ თუ გამსახურდიას ეძახდნენ დიქტატორს, ახლა ივანიშვილს ეძახიან.

მაშინ თუ გამსახურდიას დებდნენ ბრალს დემოკრატიული ღირებულებების უგულებელყოფაში, ახლა იგივე ბრალდებას ივანიშვილს უყენებენ.

მაშინ თუ გამსახურდია უშლიდა ხელს საქართველოს აყვავებასა და გაფურჩქვნაში, ახლა ივანიშვილი უშლის თურმე ხელს.

მაშინაც „ყველა-მინუს ერთი“ იყო მთავარი დევიზი, ახლაც იგივეა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ „მინუს ერთი“ გამსახურდია იყო, ახლა ივანიშვილია.

მაშინ დასავლეთის ღალატში და რუსეთთან ფარულ კავშირში დასდეს ბრალი გამსახურდიას, ახლა ივანიშვილს აბრალებენ იგივეს, თუმცა რუსეთის აგენტები თვითონ არიან, ისე, როგორც მათი „გმირი“ წინამორბედები, რომლებიც ქართულ-რუსული დაპირისპირების ჩაცხრობის შემდეგ, ჰოი, საკვირველებავ, რუსეთმა შეიფარა და გულში ჩაიხუტა.

რამე რომ მოხდეს, ამათაც ისევ რუსეთი ჩაიკრავს მკერდში, რადგან

მისი ბარაქიანი ძუძუ აქვთ ნაწოვი და სისხლნარევი რძით გაზრდილებს, კვლავ სისხლი ენატრებათ, სისხლი უფრო ეტკბილებათ და ეგემრიელებათ, მით უმეტეს თუ ეს სისხლი ქართული „წარმოშობისაა“.

●

ბიძინა ივანიშვილის იძულებით წესით გაძევება ქართული პოლიტიკიდან ზუსტად ისეთივე დამანგრეველი და უკიდურესად ტრაგიკული იქნება საქართველოსთვის, როგორც ზვიად გამსახურდიას გაძევება იყო.

გამსახურდიამ საოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა ის, რაც მისი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ საქართველოში მოხდებოდა. იწინასწარმეტყველა არა იმიტომ, რომ წინასწარმეტყველი იყო, არამედ იმიტომ, რომ ლოგიკურად აზროვნებდა და ისიც შესანიშნავად იცოდა, სინამდვილეში, რას წარმოადგენდა ის ძალა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ხელისუფლებას წალეკვით და განადგურებით ემუქრებოდა.

არც მე ვარ წინასწარმეტყველი, მაგრამ ზუსტად შემიძლია ვთქვა, რა მოხდება საქართველოში „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იმ მეთოდებით რომ „შეიცვალოს“, როგორც გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლება „შეიცვალა“ და ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახდეს პოლიტიკურ პროცესებს ჩამოშორდეს და ქვეყნიდან წავიდეს.

რა მოხდება და მოხდება ზუსტად ის, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა, რასაც აუცილებლად შეეწირება ქართული სახელმწიფო.

ეს იქნება სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა ქვეყნის ხელახალი გადანაწილებისთვის, ქვეყანაზე ახალი კონტროლის დამყარებისთვის, რომელშიც ადგილობრივი კლანებისა და მაფიოზური სინდიკატების პარალელურად აუცილებლად ჩაერთვებიან როგორც ჩვენი მეზობელი, ასევე არამეზობელი სახელმწიფოები.

ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, თორემ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, თავისი გეოეკონომიკური, გეოსტრატეგიული მნიშვნელობით უნიკალური სახელმწიფოა.

საქართველოსთვის ომი ახლაც, მშვიდობიანობის დროსაც მიმდინარეობს, ოღონდ ეს არის ფარული, კულუარული, გამოუცხადებელი ომი, რომელშიც ბევრი მხარეა ჩართული.

ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ ფარული ომის პირობებშიც შეძლეს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, საფრთხეების პრევენცია და განეიტრალება, რის შედეგადაც რვა წელია საქართველოში სიმშვიდეა, თუმცა ქვეყანა, ფაქტობრივად, ფრონტის ხაზის გასწვრივ ცხოვრობს.

უდავოა, რომ ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს, მის პოლიტიკურ გამჭრიახობას, გნებავთ, მის პიროვნულ თვისებებს უკავშირდება.

ბიძინა ივანიშვილია დღეს ის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც შიდა თუ გარე ფაქტორებით გამოწვეული ფეთქებადსაშიში სიტუაციის განმუხტვას და დაბალანსებას ახერხებს.

ამიტომაც: ვინც ბიძინა ივანიშვილს ებრძვის, ის, სინამდვილეში, საქართველოს ებრძვის.

ვისაც ბიძინა ივანიშვილის დამარცხება უნდა, მას, სინამდვილეში, საქართველოს დამარცხება უნდა.

— ზვიადა პატრიოტი კაცი იყო — იტყვის თენგიზ კიტოვანი გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულიდან 25 წლის შემდეგ.

დარწმუნებული ვარ, არც გონებაშეზღუდულ კიტოვანს, არც მის გონებაჩლუნგ ამფსონებს ბოლომდე არ ჰქონდათ გააზრებული, რა დიდი უბედურება მოჰყვებოდა პატრიოტი „ზვიადას“ დამხობას ქვეყნისათვის.

მათ თავიანთი პრიმიტიული ჭკუით პრიმიტიულად ეგონათ, რომ „ზვიადას“ თუ დაამარცხებდნენ, ყველა პრობლემა ავტომატურად მოიხსნებოდა და ქვეყანა მომენტალურად აყვავდებოდა და გაიფურჩქნებოდა.

როგორც კიტოვანს და მისნაირებს არ ესმოდათ, რა მასშტაბის კატასტროფა მოჰყვებოდა მათ ხისტ ნაბიჯებს, ასევე არ ესმით ეს კიტოვანზე არანაკლებ გონებაჩლუნგ ზოგიერთ პოლიტიკოსს, 30 წელია გიჟებს, სულელებს, ავანტურისტებს, ყაჩაღებს და ბანდიტებს ვეჯაჯგურებით, რომ ქვეყნის მართვის სადავეები მთლიანად არ წაგვართვან ხელიდან და უფსკრულში არ გადაგვჩეხონ, ამ შინაურ მავნებლებთან ჭიდილსა და ძიძგილაობას იმდენი ენერგია მიაქვს, რომ გარეული მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად უკვე ძალა არ გვყოფნის.

●

არ მინდა, ეს წერილი ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ბიძინა ივანიშვილის ბრმა თაყვანისმცემელი ან „ქართული ოცნების“ ფანატიკოსი მხარდამჭერი ვიყო, რომელიც ფიქრობს, რომ ხელისუფლების სათავეში უცვლელად და მარადიულად მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ უნდა იყოს.

ბიძინა ივანიშვილის დამარცხება რომ დაუსახავთ უმთავრეს მიზნად.

არ ესმით ეს ამ ვაიპოლიტიკოსების ფეხის ხმას აყოლილ მათ მხარდამჭერებს, არ ესმის მოსახლეობის იმ 27%-ს, „ნაცმოძრაობას“ რომ მისცა ხმა და არც იმათ, ბოკერია-უგულავა-ხაზარაძე-ვაშაძე რომ აურჩევიათ წინამძღოლებად ბედნიერებისკენ მიმავალ გზაზე.

არაფერს ვამბობ ჭკუიდან გადასულ სააკაშვილზე, რომელსაც აშკარაა, რომ მძიმე ფსიქიკური პრობლემები აქვს და რომელიც მზად არის მთელი საქართველო დალეწოს და დაანგრიოს, ოღონდ ამ ნანგრევებში როგორმე ივანიშვილი მოაყოლოს.

ასევე არაფერს ვამბობ შალვა ნათელაშვილზე, რომელიც ჭკუიდან გადასული სააკაშვილის „იდეებს“ აბმოვანებს და ისეთი აღფრთოვანებით, ისეთი შთაგონებით, ისეთი აღტყინებით ლაპარაკობს ივანიშვილის „ამოშანთვაზე“ ქართული სივრციდან და ამას რომ ამბობს ისე უბრწყინავს თვალები, მე მგონი, სააკაშვილზე ნაკლები გიჟი არც ეგ არის.

კი, მაგრამ, ჩვენ რა ვქნათ — გიჟების, შლეგების, ავანტურისტების, სულელების ჭკუაზე უნდა ვიაროთ და შორიდან მშვიდად უნდა ვუყუროთ, როგორ დააქცევს ეს ჭკუით გაპენტილი „ნაღები საზოგადოება“ ქვეყანას?

ეს ნამდვილად არ არის ასე, თუმცა არც იმას დავმალავ, რომ მოცემულ სიტუაციაში მე ვერ ვხედავ პიროვნებას, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ჩაანაცვლებს და მასზე უკეთესად გაუმკლავდება იმ საბედისწერო პრობლემებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

მოცემულ სიტუაციაში მე ვერც ისეთ პოლიტიკურ ძალას ვხედავ, რომელიც „ქართულ ოცნებაზე“ უფრო წარმატებულად უპასუხებს იმ საფრთხეებს, რომლებიც საქართველოს ოთხივე მხრიდან უტევს.

დიახ, ამ ისტორიულ ეტაპზე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ ჩანს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ღირსეულ კონკურენციას გაუწევს „ქართულ ოცნებას“, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი ძალა მომავალში არ გამოჩნდება, ქართული პოლიტიკა ერთ ადგილზე გაიყინება და ზრდას და განვითარებას შეწყვეტს.

დრო აუცილებლად გამოაჩენს ახალ ადამიანებს, ახალ იდეებს, ახალ კონცეფციებს, ახალ ლიდერებს, თუმცა იმ დრომდე უნდა მივიდეთ, უფრო ზუსტად, ის დრო ჩვენ თვითონ უნდა მოვიყვანოთ ჩვენი გარჯით, ჩვენი თავდადებით, ჩვენი ერთგულებით, ჩვენი მოღვაწეობით.

●

ხშირად ვფიქრობ ხოლმე — დღეს რომ ზვიად გამსახურდია ცოცხალი ყოფილიყო და საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი, რაც ბიძინა ივანიშვილმა საქართველოსთვის გააკეთა, რას იტყოდა იგი ბიძინა ივანიშვილზე?

რას იტყოდა და იმას იტყოდა, რომ საქართველოს ისტორიაში არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ამდენი სიკეთე გაეკეთებინოს თავისი ქვეყნისთვის.

ამასთან ერთად, ალბათ იმასაც იტყოდა, რომ ერის უდიდესი სირცხვილია, როცა ერი უფლებას აძლევს ვიღაც ვიგინდარებს და ვათანძარებს მადლიერების და პატივისცემის ნაცვლად აუგად მოიხსენიონ და ლაფი და ტალახი ესროლონ ასეთ ადამიანს.

ზვიად გამსახურდიას არც იმის თქმა დაავიწყდებოდა, რომ არ არსებობს უფრო უკეთური და ეშმაკისეული თვისება ადამიანისა, ვიდრე უმადურობაა.

უმადურობა, სინამდვილეში, უღმერთობაა, ღმერთის შეგინებაა, რადგან ყველა ეროვნული კატასტროფაა, ეროვნული უბედურებაა, როცა უმადურობა ერის მთავარ მახასიათებელ ნიშან-თვისებად იქცევა.

ისიც ეროვნული კატასტროფაა, როცა ერს არ შეუძლია თავისი ღირსეული შვილების დაცვა.

ეროვნული უბედურებაა ისიც, როცა ავაზაკების, მედროვეების, ავანტურისტების ხროვას, ერის რისხვის, ერის მკაცრი სამართლის არ ეშინია.

ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის ოქტომბერში ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილთან ერთად დაამარცხა ის ძალები, რომლებიც ზვიად გამსახუდიას მკვლელების და დამოუკიდებელი საქართველოს დამპყრობელ-დამაქცევრების სამართალმემკვიდრეები იყვნენ.

შეცდომაა, როცა ვამბობთ, რომ 2012 წელს „ნაცმოძრაობის“ რვაწლიანი რეჟიმი დავასრულეთო.

მხოლოდ რვა წელი კი არა, ეს არის რვა წელს პლუს თერთმეტი წელი, ანუ პერიოდი 90-იანი წლებიდან 2012 წლამდე, რაც მთლიანობაში 19 წელს შეადგენს.

აქიდან გამომდინარე, უფრო სწორი და მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ შევარდნაძე-სააკაშვილის ცხრამეტწლიანი რეჟიმი დაამარცხა, რადგან პირველი მეორის დასაწყისია, მეორე-პირველის გაგრძელება.

2012 წელი 90-იან წლებში დამარცხებული, მაგრამ ხელახლა აღორძინებული და ფერფლიდან აღმდგარი ახალი ეროვნული მოძრაობის გამარჯვების წელია, ამ გამარჯვებას კი ბიძინა ივანიშვილმა ჩაუყარა საფუძველი.

როგორც ვთქვით, ვინც დღეს ბიძინა ივანიშვილს ებრძვის, ის ებრძვის საქართველოს და საქართველოსთან ერთად ებრძვის საკუთარ თავს.

ვისაც დღეს ბიძინა ივანიშვილის დამარცხება სურს, მას საქართველოს და საქართველოსთან ერთად საკუთარი თავის დამარცხება სწადია.

ასე იყო 90-იან წლებშიც, როცა ეგონათ, რომ „დიქტატორი“ ზვიად გამსახურდია დაამარცხეს, ვერ მიხვდნენ, რომ, სინამდვილეში, საქართველო და საქართველოსთან ერთად საკუთარი თავი დაამარცხეს.

არსებობს გამარჯვებები, რომლებიც დამარცხებაზე გაცილებით უარესი და გაცილებით ტრაგიკულია.

სანამ ამას არ მიხვდებიან საქართველოში, მანამდე სულ დამარცხებულები ვიქნებით...

ვახტანგ ხარჩილავა

ერის სასიქადულო შვილი

მოსაზრებები ბეჭდაუდებელ მსოფლიო რაინდ რომან რურუასა და მის ინტერვიუზე („საერთო გაზეთი“. 2020წ. 25.11)



რევაზ გოგოხია:

ლეგენდარული სპორტსმენი და ბრწყინვალე მოქალაქე რომან რურუა სპორტულ მსოფლიოს და, მით უფრო, სრულიად საქართველოს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობასა და ოლიმპიურ თამაშებში მიღწეული ფენომენალური გამარჯვებებიდან ახსოვს. იგი 1959-1972 წლებში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორ წონით კატეგორიას – 62-70 კგ კურირებდა. ამ წონით კატეგორიაში დღემდე ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, რომელიც არც ერთ უცხოელ მოწინააღმდეგესთან არ დამარცხებულა. იგი, ასევე, სსრ კავშირის 6-გზის და ხალხთა სპარტაკიადის 3-გზის ჩემპიონია.

რომან რურუა 1999–2003 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, 2019 წლიდან კი საქართველოს ბიზნესის აკადემიის აკადემიკოსია. მის სახელს უკავშირდება სხვა უამრავი წარმატება ქვეყნის სამეურნეო თუ პოლიტიკურ საქმიანობაში. დღესაც, სხვა მამულიშვილებთან ერთად, აქტიურად იღვწის საქართველოს, ხალხის სიკეთისა და ბედნიერებისათვის.

ამასთან, უდავოდ დასაფასებელი და მისასალმებელია რომან რურუას მიერ კოლეგების, ნამდვილი ვაჟკაცების – ვახტანგ ბალავაძის, არსენ მეკოკიშვილის, ლევან თედიაშვილის, გივი კარტოზიას და სხვა ჭეშმარიტი ქართველების, სახელოვანი მოჭიდავეების შთამბეჭდავი გამარჯვებების ღირსეული მოხსენიება თავის წარმატებებთან ერთად.

დიდი სპორტული მიღწევები სრულიადაც არ ჩრდილავს მის პოლიტიკურ და სამეურნეო შეხედულებებსა და საქმიანობას, რომელშიც დიდი წვლილი შეუტანია და კვლავაც მზადაა, იყოს იქ, სადაც ქვეყანას სჭირდება.

ბატონი რომანი 1999–2003 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. ბუნებრივია, საპარლამენტო მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამჟამადაც ბევრს ფიქრობს ქვეყანაში აბსურდული პოლიტიკური ქაოსის, უწინარესად, საპარლამენტო საქმიანობის ხარვეზებზე და ამ მიმართულებით ბევრი საღი აზრი აქვს შემუშავებული. უპირველესად, მას მიაჩნია, რომ არსებითად უნდა შეიცვალოს საპარლამენტო არჩევნების ის სტანდარტული სისტემები, რომელიც დემოკრატიას ამოფარებული, დღეს მთელ მსოფლიოს თავზე აქვს მოხვეული.

თავის საგაზეთო პუბლიკაციაში „საერთო გაზეთთან“ის ამბობს: „...ამ მრავალფეროვანი, განსხვავებული თვისებების მქონე სამყაროში ერთი და იგივე პლაგიატის სამართლის დანერგვა-დამკვიდრება ბუნებრივ კანონზომიერებაში გაუაზრებელი ხელოვნური ჩარევის ტოლფასია. ასე რომ არ იყოს, მსოფლიოს განვითარების სისტემის საუკეთესო იურისტებს შევკრეფდით და ერთ უნივერსალურ სამართალს შევქმნიდით, რომელიც ყველა სახელმწიფოში უნიკალურ შედეგს მოგვცემდა. გაუაზრებელნი არ ფიქრობენ, რომ ბუნებრივი კანონზომიერება ამას არ დაუშვებს – გამორიცხულია“.

ბატონი რომანი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ყველა ქვეყანასა და ერს, მისი ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე, თავისი შესატყვისი კანონები უნდა ჰქონდეს. არ შეიძლება ერთი და იგივე სტანდარტის მორგება ყველასთვის. ბუნების კანონიდან გამომდინარე, არ არსებობს ოთახში დაწერილი კანონი მოერგოს ყველას ერთნაირად. ყველამ უნდა იმოქმედოს თავისი ნიჭის, უნარის და არსებობის შესაბამისად. ამის მაჩვენებელია ბუნების მრავალფეროვნება, რომლის 77% მოსპო ადამიანმა თავისი არსებობის მანძილზე. ეს გაეროს უახლესი მონაცემების მიხედვით არის დამტკიცებული. მეტად დამაფიქრებელია ეს მონაცემები. ესე იგი, ბუნებას დარჩა სრულ განადგურებამდე 23%. ამდენად, ადამიანი ჭრის იმ ტოტს, რომელზეც ზის. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, იმ ხელოვნური სტანდარტის მორგება მსოფლიოსთვის, რომელსაც დღევანდელი დემოკრატიის, ანუ მსოფლიოს ერთმმართველობის მამები – ლიბერასტები აპირებენ.

თავის მოსაზრებებს რომან რურუა შემდეგნაირად აყალიბებს: „საქართველოში არსებული მრავალი წვრილი თუ მსხვილი პოლიტიკური პარტია (დაახლოებით, 200-მდე), რომელთაც პრეტენზია აქვთ მოხვდნენ პარლამენტში, ყოველი არჩევნების წინ იფუთებიან ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის ავტორებად მხოლოდ ზეპირი განცხადებებით და არა რეალური პროგრამების საფუძველზე, რასაც ბევრი ამომრჩეველი, ასე თუ ისე, იჯერებს და ხმას აძლევს მათ. პარლამენტში კი მათი საქმიანობა, ფაქტობრივად, ლაყბობით ამოიწურება და ხალხი მოტყუებული რჩება. გამოსავალი ერთია: არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიამ საჯაროდ უნდა წარმოადგინოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რომელიც ნოტარიალურად იქნება დამტკიცებული, გატარდება რეესტრში, გავრცელდება საზოგადოებაში და, მხარდაჭერის შემთხვევაში, ავირჩევთ. მასვე უნდა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პროგრამის განუხორციელებლობის გამო. აი, სწორედ ასეთ შემთხვევაში, ბევრ პარტიას დაეკარგება სურვილი, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. არ იქნება მიტინგები, კარვების გაშლა, ჩხუბი და გინება. გინდა, ქვეყნის სათვეში მოსვლა? მოდი, მაგრამ აგე პასუხი! პარტია, თავისი საქმიანობის შესაბამისად, ან დაჯილდოვდება, ან დაისჯება.

ოცდაათი წელია, ერთ ადგილს ვტკეპნით. ეს არის ბოროტება. ერთი წუთიც აღარ არის დასაკარგი, გზა უნდა მოიძებნოს, რომ ქვეყანა არ გაჩერდეს და განვითარდეს“.

რა თქმა უნდა, ეს წინადადება დასახვეწია, ავტორი ამაზე კიდევ იმუშავებს და წარუდგენს საზოგადოებას, არც ის გამოირიცხება, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. ამის შესაძლებლობაც არსებობს. თუ პარტიები ისურვებენ, საზოგადოება დაეხმარება მათ აზრის ჩამოყალიბებაში. ერთი რამ არ დაგავიწყდეთ, კონტროლი ამ საქმეზე იქნება ხალხის მიერ შემუშავებული, რომელიც კონსტიტუციურად იქნება დამტკიცებული.

ამასთან, სავსებით სწორია მისი დასკვნა იმის თაობაზე, რომ დღეისათვის მთავარია, ქვეყანაში, ადამიანთა შორის, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსთა შორის, და უწინარესად, საპარლამენტო პოზიციასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობის ოპტიმალური რეგულირება. დღეს ხომ ოპოზიცია, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილი, არსებითად მტრული ძალაა არა მხოლოდ პარლამენტისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. ის, სამწუხაროდ, დესტრუქციულ ძალად შეიძლება იქცეს, რომელიც ყველასათვის ცნობილი „უნიჭიერესი ბოროტის“ ხელით დისტანციურად იმართება და მოქმედებს არა იმისათვის, რომ მოლაპარაკებების თუ დიალოგის გზით წარმართოს ქვეყნისათვის სასარგებლო შეთანხმების მიღწევა, არამედ მის ერთადერთ იარაღად იქცა ვიღაცის ხელში, არადა, ოპოზიციაში ბრწყინვალედ მოაზროვნე ახალგაზრდები შეინიშნება. ჩვენი შეცდომაა, რომ ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდებს ამ პოლიტიკურ ომში ვკარგავთ.

ვაი, რომ, როგორც ბატონი რომან რურუაც ბრძანებს, უკვე კარგა ხანია დავიწყებულია ან კიდევ შეგნებულად, საერთოდ უგულებელყოფილია დიდი ილიას ანდერძი, ქართველთა ყოფა-ცხოვრების არსი-სამება – „მამული, ენა, სარწმუნოება“.

მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი დავკარგეთ „დიდ პოლიტიკოსთა მეცადინეობით“ თუ ავყიაობით; ენა დავამახინჯეთ და რესეთუმეობიდან ინგლისურ-ჩიქორთულ „დამწერლობაზე“ გადავედით. რაც შეეხება სარწმუნოებას, ფრიად სამწუხარო ფაქტია, ის, რომ მსოფლიოში მართლმადიდებლობას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამოცხადებული. ბოლო პერიოდში კლასიკური დემოკრატიის ნაცვლად, რომელშიც კონსერვატიული, გნებავთ, ეროვნული მშვიდობიანად თანაარსებობს ზომიერ ლიბერალიზმთან, დემოკრატია, ანუ ლიბერტარიანიზმი, რომელიც გულმოდგინედ ნერგავს და იცავს მხოლოდ გეების, ლესბოსელების, იეღოველების და სხვა სექტანტების უფლებებს თავისუფლების აბრით, კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ აგრესიული ლიბერალები დემოკრატიის პირობებში ხელისუფლების მეხუთე კოლონად ჩამოყალიბდნენ. არასამთავრობოთა უმეტესობა, რომლებთან ერთადაც საქართველოს სახალხო დამცველიც, რომელიც ხშირად მხოლოდ უმცირესობათა უფლებებს იცავს მართალი უმრავლესობის საწინააღმდეგოდ. ყოველივე აღნიშნული და სხვა ბევრი მსგავსი ქმედება, საბოლოო ანგარიშით, საქართველოს განადგურების მცდელობის ტოლფასია, რაც ბატონ რომანს, ჩვენ და სრულიად საქართველოს დიდ საფიქრალს გვიჩენს.

ჩვენი მიზანია ეროვნული სახის შენარჩუნება, ხოლო გლობალიზაციის მიზანია, შეგვიტყუოს ისეთ გარემოში, სადაც ეროვნულობა და ჩვენი ფესვები დაიკარგება. თუმცა, ყველაფერი არა მხოლოდ საქართველოს უბედურებაა, არამედ თითქმის მთელი თანამედროვე მსოფლიოს მახასიათებელია – მსოფლიოში გაბატონებულმა მასონებმა თუ ე.წ. ლიბერასტებმა, მალთუსიანელებმა თუ გეიტსებმა, რომლებიც არსებითად ყოველგვარ ტრადიციულს, ქრის-

ტიანულს, ადამიანურს ებრძვიან, გამოიწვია მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური სისტემის დეგრადაცია. აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონი რომანის გეოპოლიტიკურ ხედვას, რომელიც საფუძველია ქვეყნის გადარჩენის – შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული სახე და მართლმადიდებლობა!

როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ბრძანებდა: „ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, მძიმე, ეკლიანი გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა“. ყოველივე ეს კარგად მოეხსენება ბატონ რომანს, რომელიც თითქოსდა გენეტიკურად აგრძელებს ზემოთ ნათქვამს თავის ინტერვიუში: საქართველოს ზენაარსმა იმთავითვე დაუმკვიდრა ქართველ ხალხს ხანგრძლივი სიცოცხლის განმსაზღვრელი ურთიერთშემავსებელი კომპონენტები – მიწა, წყალი და ჰაერი, რასაც ოდითგანვე ქართველი კაცი გონივრულად იყენებდა, ცხოვრობდა და ზრდიდა გამორჩეულ პოლიტიკოსებს, მხედართმთავრებს, მეცნიერებს, მშენებლებს, სხვა სფეროს მოღვაწეებს, რომელთა ნიჭსა და შემოქმედებას მთელი მსოფლიო განცვიფრებაში მოჰყავდა. დღეს კი რა ხდება? – აი, რა აწუხებს და რაზე ფიქრობს ჩვენი დიდი და მარად გაუხუნარი სპორტსმენი და ბრწყინვალე პიროვნება – მრავალმხრივ განათლებული და თვითგანსწავლული, რომელსაც უნარი შესწევს, თანასწორად ესაუბროს და საქვეყნოდ საქმიანი მნიშვნელობის წინადადებები შესთავაზოს პოლიტიკოსს, ეკონომისტს, ინჟინერს, სოციოლოგს, ხელოვანს, ლიტერატორს და ა.შ. და არა მარტო შესთავაზოს, არამედ ხორცი შეასხას, აშენოს, ამშვენოს და კონკრეტული წვლილი შეიტანოს საქართველოს გაბრწყინებაში, რაც მისი მთავარი (თუ ერთადერთი არა) ოცნებაა. ამის მკაფიო მაგალითი, მის დიდ სპორტსმენობასთან ერთად, არის ფრიად ნაყოფიერი სამეურნეო საქმიანობა, სხვადასხვა საწარმოთა რესტავრაცია და ამოქმედება, ახალ საწარმოთა მშენებლობაში აქტიური წვლილის შეტანა, საწარმოთა ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა თუ სხვა წვლილი ქვეყნის აღორძინების საქმეში, მაგრამ, ვაი, რომ თითქოსდა, ეს ყველაფერი სიზმარში იყო.

ერთ მშვენიერ დღეს, ქვეყნის დოვლათით საკუთარი ჯიბის გასქელების მიზნით, ქვეყნის სათავეში მყოფმა ვაიპოლიტიკოსებმა მას ეს ყველაფერი წაართვეს, ვითომდა ქვეყნის ინტერესებისათვის. ჩამოაცილეს ყოველგვარ საქმიანობას, როგორც სამეურნეო-აღმშენებლობით, ასევე სპორტული საქმიანობის სფეროში და ეს საქვეყნო კაცი დასვეს სახლში. მთელ ამ გაჯახირებულ პროცესში, 1998 წლიდან დაწყებული, მან დაკარგა ალალი და ინტენსიური შრომით დამსახურებულად მოპოვებული ასეულობით მილიონი დოლარი, რაც სასამართლოში გაასაჩივრა, ზოგი გასაჩივრებულია, ზოგიც გასასაჩივრებელი. ბატონი რომანი ოცდაათი წელია, შედეგს ელოდება, მაგრამ ვაი, რომ სასამართლო არ არსებობს.

ეს საკითხები მას არსად არ გაუხმაურებია. იქნებ, ღირდეს გახმაურება?

ასეთ ვითარებაში, ბევრი ხელს ჩაიქნევდა, პესიმიზმში ჩავარდებოდა და განუდგებოდა ცხოვრებას, მაგრამ, არა. ის ასე როდი მოიქცა, პირიქით, მისმა ბობოქარმა, სპორტულად გაწვრთნილმა სულმა არ მოისვენა, მან ჯერ იყო და მცხეთაში, ცარიელ მიწაზე ააღორძინა საოჯახო მეურნეობა, საიდანაც უხვად ღებულობს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საკვებ პროდუქტებს, რასაც სხვებსაც უანგაროდ უნაწილებს; საღად მსჯელობს ყველა იმ ნაკლოვანებაზე, რაც დღეს დამახასიათებელია ქართველი საზოგადოებისათვის და საყურადღებო რეცეპტებსაც გვთავაზობს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

შევჩერდებით მხოლოდ ერთზე – ქვეყანაში სპორტის განვითარების რურუასეულ სქემაზე. მისი აზრით, სპორტი რომ ნორმალურად განვითარდეს, მისი მართვა ორ ნაწილად უნდა გაიყოს – მოსახლეობის ფიზიკური აღზრდა, ანუ ფიზიკური კულტურა და დიდი სპორტი. ფიზიკური კულტურა სულიერების საძირკველი, ჯანმრთელობის საწინდარია, დიდი სპორტი კი დიდი ფუფუნებაა და სულ სხვა მიდგომები სჭირდება – მაღალ შედეგებზე ორიენტირებული მმართველობა ოლიმპიური კომიტეტის სახით. ამ საკითხზე მას არაერთხელ უსაუბრია შესაბამის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ უშედეგოდ, უფრო ზუსტად, ეს საუბრები მისთვის არასახარბიელო შედეგით დასრულდა. მრავალგზის ჩემპიონსა და ბევრი სხვა დამსახურებისა და გამოცდილების პიროვნება ოლიმპიური კომიტეტის რიგითი წევრობიდანაც კი გამოიყვანეს, რაშიც დიდი „დამსახურება“ მიუძღვის მის თავმჯდომარეს ხაბელოვს, ყაველაშვილს და სხვებს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მოჭიდავეთა უდიდესი ნაწილი მხარს უჭერდა ჭიდაობის პრეზიდენტად მისი არჩევის იდეას, ესეც დაბლოკეს „ზემოდან“ მითითებით, რასაც მერე სავალალო შედეგები მოჰყვა, რისი გაშიფრვაც რომან რურუას არასდროს უკადრებია. მის ამ და სხვა სახის „დაბლოკვებთან“ დაკავშირებით, იგი აცხადებს შემდეგს: „გული მწყდება იმაზე, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ათეული წლები გავიდა, მაქვს დიდი ენერგია, საღი ჭკუა და გონება, საქმის კეთების უნარი და სურვილი, თუმცა, არ ვარ დასაქმებული იქ, სადაც ყველაზე მეტი სარგებლობა შემეძლო მომეტანა ქვეყნისთვის. რამდენი რამის გაკეთება შემეძლო? ყველაზე დიდი სინანული, რაც გამყვება სამარეში, ეს უსაქმური, მოცდენილი წლებია. სურვილი? – ასაკთან ერთად სურვილები არ კლებულობს, შინაარსი კი იცვლება და მუდამ ცოცხალია. სურვილი რომ არ იყოს, არც სიცოცხლე იქნებოდა“.



ჩემო რომან ბატონო! თქვენი გულისტკივილი გასაგები და მისაღებია, რასთან დაკავშირებითაც მყისვე მაგონდება აკად. შალვა ნუცუბიძის მწარე ნაკვესი – „საქართველოში ყველაფერს გაპატიებენ, გარდა ნიჭიერებისა“. თუმცა ჯერ კიდევ წინა გაქვთ ათეული წლები და თქვენ უსათუოდ მიაღწევთ მიზნების განხორციელებას, რაც ქვეყანასაც აუცილებლად წაადგება. ისიც ვიცი, რომ თქვენი განწყობა ოპტიმისტურია, რასაც თქვენი შემდეგი მსჯელობაც ადასტურებს: „საქართველოს გაბრწყინების დრო კარზეა მომდგარი, არის ამის შანსები და ის ხელიდან არ უნდა გავუშვათ“.

ამ შანსების მთავარ ფიგურანტად იგი ასახელებს მტკნარ, ანუ სასმელ წყალს, რომლითაც საქართველო მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანაა. თუმცა ის, პრაქტიკულად, მინიმალურადაც არ არის გამოყენებული. სწორედ ამ ოპტიმისტურმა განწყობამ უბიძგა ბატონ რომანს აქტიურად ჩაბმულიყო საქართველოსა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთლიანად კაცობრიობისათვის უმნიშვნელოვანეს საქმეთა კეთების ფერხულში, მთელი თავისი ენერგიით, ნიჭიერებითა და მატერიალური საშუალებებითაც მხარი დაეჭირა სახალხო მოძრაობისათვის ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარებით, საქართველოს მოსახლეობის სიდუხჭირიდან გამოყვანისა და მატერიალური სიმდიდრის შექმნით. ამ იდეის განსახორციელებლად ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის ზრდის პერსპექტივების მქონე ქართველ მეცნიერთა ჯგუფს, აკადემიკოს პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით, შემუშავებული აქვს კონცეფცია-პროგრამა – „წყალი – ეროვნული სიმდიდრე“ და ეს პროგრამა ხორცშესხმის პროცესშია. პროგრამა, ფაქტობრივად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობისა და მძლავრი განვითარების გენერალური გეგმაა, რომელსაც გააჩნია თავისი მიზანი, მიზნის მიღწევის გზები, გათვლილი ეკონომიკური შედეგები.

ამ დიდ საქმეს და ქვეყნისთვის სხვა საჭირბოროტო პრობლემების წარმოჩენა-მოგვარებას უძღვება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული ეროვნული პრობლემების უაღრესად ავტორიტეტული კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი მეცნიერი და ერისა და ქვეყნის გულანთებული პატრიოტი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრია აწ უკვე საქართველოს ბიზნესის აკადემიის (პრეზიდენტი, პროფესორი თემურ ბაბუნაშვილი), აკადემიკოსი რომან რურუა. მეამყება, რომ ამ დიდ საქმეში მეც ვარ ჩართული.

დიახ, დღეისათვის ბატონი რომან რურუა არათუ უსაქმურობას უჩივის, არამედ ფრიად გადატვირთულია საქვეყნო საქმეების წარმატებით გადაწყვეტის პროცესებში ჩართვით. რაც შეეხება მის გულისტკივილს, ქვეყნის სპორტული სამყაროდან მის იძულებით გარიყვას, ეს პრობლემაც, ალბათ, ახალი პარლამენტისა და მთავრობის გონივრული საქმიანობით მალე მოგვარდება.

ასე რომ, ყოჩაღად და იმედიანად იყავით ერის სასიქადულო ვაჟკაცო, ბატონო რომან!

რევაზ გოგოხია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიისა და ბიზნესის მეცნიერებათა ® აკადემიის აკადემიკოსი

ეხმარება თუ არა ღვთის რწმენა ადამიანს განკურნებაში?

მოვა ტანჯული მსახური, ტკივილის ადამიანი, რომელმაც იცის თუ რა არის ტანჯვა და აიღებს თავის თავზე ადამიანთა ტკივილებს

მსოფლიოს დიდი ნაწილი კორონა ვირუსის მარწუხებშია მოქცეული. ოცდამეერთე საუკუნის მეცნიერები კორონა ვირუსის გენეტიკური კოდის გაშიფვრით არიან დაკავებული და კლინიკურ გამოცდებს ატარებენ. არავინ იცის მოუხელთებელ, იდუმალ ვირუსს დაამარცხებს თუ არა მათ მიერ შექმნილი ვაქცინა... წარსული საუკუნეების მანძილზე, თავსმოწეულ უბედურებას ზეციურ სასჯელად აღიქვამდნენ. ეპიდემიებს ათობით ათასი ადამიანების სიცოცხლე მიჰქონდა, მათი მიზეზები და გადაცემის მექანიზმი კი უცნობი იყო. შედეგად, როგორც ანტიკურ ეპოქაში, ისე შუა საუკუნეებში, ადამიანთა მზერა ზეცისაკენ იყო მიპყრობილი — ეპიდემია ზეციური სხეულებისა თუ ღვთიური არსებების რისხვას მიეწერებოდა. დღეს, მსოფლიო საოცრად სწრაფად იცვლება და სამწუხაროდ უარესობისკენ. კორონა ვირუსთან ბრძოლა, ეკონომიკურ თუ მენტალური კრიზისით, გატანჯული მოსახლეობის უმრავლესობას ძალიან უჭირს. თუმცა, მოუხელთებელი ვირუსი არც ეკონომიურად და მენტალურად ძლიერებს ინდობს. შიშის და უიმედობის ფონი კორონას ფრთებს ასხავს... ღვთის ანაბარა დარჩენილებს ღმერთი და რწმენაც გაახსენდათ...

ეხმარება თუ არა ღვთის რწმენა ადამიანს განკურნებაში? ავადმყოფობის დამარცხება, ხსნის გზა მკურნალობის, განკურნების ძიებას ცენტრალური ადგილი უკავია მონოთეიზმებში. მისი მთავარი ინსტრუმენტია ლოცვა. სხეულის და სულის დამამშვიდებელ პრაქტიკათა მიღმა მარტო ლოცვას ძალუძს ადამიანის ხსნა. მონოთეისტები ფიქრობენ იმაზე თუ როგორ მოხდა ისე რომ ერთადერთმა და სიკეთით სავსე ღმერთმა შექმნა არასრულყოფილი არსება რომელსაც ყოველთვის შეიძლება დაატყდეს თავს საშინელი ავადმყოფობა რომლისგანაც დაზღვეული არ არიან არც იმპერატორი, არც პაპი და და არც უკანასკნელი მარგინალი... და რატომ არ უღებს ბოლოს მის ქმნილებათა ტანჯვას ღმერთი რომელსაც ძალუძს ისტორიაში ჩარევა? წმინდა ავგუსტინემ თქვა რომ ედემის ბაღში სრული ნეტარების მდგომარეობაში მცხოვრებმა ადამიანმა სცოდა, დაარღვია სამყაროს ღთაებრივი წყობა და ამან ჩააგდო ადამიანი ტკივილის და ავადმყოფობის უფსკრულში.

ყურანიც ამბობს რომ ტანჯვის წყაროა ადამის და ევას ცოდვა. ისიც აკრიტიკებს ადამიანის ცოდვილ ბუნებას ყურანში ავადმყოფობა არის ღმერთის მიერ მოვლენილი განსაცდელი და გამოცდა რომლითაც ის სცნობს თავისიანებს. უდანაშაულო და უცოდველ იობს დაემართა აუწერელი უბედურებები. ბოლოს ის განიკურნა, მაგრამ ისტორია გვაბნევს. ამ ისტორიის როგორც იუდეველი ისე ქრისტიანი და მაჰმადიანი კომენტატორები ამბობენ რომ ტანჯვამ იობს მისცა ღმერთის ნებისადმი მორჩილებით ღმერთთან დაახლოების საშუალება. ყურანი ხოტბას ასხამს იობის, ღმერთისადმი მორჩილების ნიმუშის, მოთმინებას. ყურანში იობი არის სრულყოფილი მაჰმადიანი. ისლამი ნიშნავს ღმერთისადმი მორჩილებას. ავადმყოფის სხეული ცოდვილის სხეულია, მაგრამ მონოთეისტური რელიგიები სულაც არ არიან გულგრილნი ტანჯვის და ტანჯულის მიმართ. იუდეველებიც, ქრისტიანებიც და მაჰმადიანებიც მიუთითებენ ტანჯვის და ავადმყოფობის მიზეზებზე, მაგრამ ამავე დროს დაუღალავად ეძებენ ფიზიკური თუ მენტალური ტანჯვა-ავადმყოფობის შემსუბუქების, განკურნების ხერხებს. ისაია ადამიანებს პირდება რომ მოვა ტანჯული მსახური, ტკივილის ადამიანი, რომელმაც იცის თუ რა არის ტანჯვა და აიღებს თავის თავზე ადამიანთა ტკივილებს. განა იესო არ ავიდა ჯვარზე იმიტომ რომ მიეტევებინა ადამიანებისთვის საწყისი ცოდვა? იესო უთანაგრძნობს ავადმყოფებს და დაუღალავად კურნავს ყრუ-მუნჯებს, დამბლადაცემულს, და ასე შემდეგ. ის დევნის ადამიანთა მტანჯველ დემონებს, მეტიც, აღადგენს მკვდრებს, ტირის როდესაც იგებს მისი მეგობარი ლაზარეს გარდაცვალების შესახებ. ის უბრუნებს სიცოცხლეს ლაზარეს. ამიტომ ჰქვია იესოს ქრისტე, მხსნელი, მაცხოვარი. ქრისტე თავის მოწაფეებს აკისრებს არაორაზროვან მისიას:“ სნეულნი განკურნეთ, მკვდრები აღადგინეთ, კეთროვანნი განწმინდეთ, ეშმაკები განდევნეთ, უსასყიდლოთ მიიღეთ-უსასყიდლოდ გაეცით.“ ამიტომაა რომ ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი მოწოდება არის მოწოდება ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი რომ იესოს პირველი მოწაფეები თავისი და საზოგადოდ ქრისტიანის ღირსების საქმედ თვლიდნენ ავადმყოფებისთვის დახმარების გაწევას... ლოცვა, ჭვრეტა, მედიტაცია, ფიტოთერაპია განკურნების მცდელობებში ქრისტიანობას არ ჩამორჩნენ იუდაიზმი და ისლამი. შუა საუკუნეებში ცნობილი იყვნენ დიდებული ქრისტიანი, იუდეველი და მაჰმადიანი ექიმები, **მაიმონიდი, იბნ სინა, პარაცელსი, ჰილდეგარდ დე ფონ ბინგენი**... ყველა ცდილობდა ავადმყოფთა როგორც ფიზიკური ისე სულიერი მდგომარეობის შემსუბუქებას. მათთვის მნიშვნელოვანი იყო ლოცვა, ჭვრეტა. რწმენის ლოცვა გადაარჩენს ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს მას და, თუ ცოდვები უქმნია, მიეტევება. აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე, და ილოცეთ ერთმანეთისთვის, რათა განიკურნოთ, რადგან ბევრი შეუძლია მართლის გაძლიერებულ ლოცვას. როგორც მაჰმადიანი ისე იუდეველი და ქრისტიანი ექიმების აზრით დიდი მნიშვნელობა აქვს ფიტოთერაპიას. მაგრამ ყველა მონოთეისტი ამბობს რომ უმთავრესია ღმერთის რწმენა. ისინი გვაიმედებენ რომ დადგება დრო როდესაც ავადმყოფობა საერთოდ აღარ იქნება... მაგრამ სანამ ეგ დრო დადგება დღესაც აქტუალურია მეთორმეტე საუკუნის დიდი ევროპელი ქრისტიანი და მკურნალი **ჰილდეგარდ დე ფონ ბინგენის** (1098–1179) ცოდნა და გამოცდილება. ეს დიდი მისტიკოსი, კომპოზიტორი, მწერალი, დედათა მონასტრის წინამძღვარი, მოძღვარი, მკურნალი პლუს ფიტოთერაპევტი ქალბატონი გვეუბნება შემდეგს, ღვთაებრივი მადლის შუქი ადამიანს უჩვენებს მის არასრულყოფილებას და იმას რომ მას სჭირდება მკურნალობა. მაგრამ თუ კი ადამიანი არ მიაქცევს ყურადღებას ღვთაებრივ მოწოდებას და თავს წარმოიდგენს აბსოლუტურად ავტონომიურ არსებად მაშინ ეს თავგასული ჩაიდენს ცოდვებს, გადაიქცევა დამნაშავედ რაც გამოიწვევს როგორც ფიზიკურ ისე სულიერ დარღვევებს და ავადმყოფობებს. მოკლედ, სხეულის და სულის განკურნება შეიძლება მხოლოდ ღმერთთან დაახლოებით, რწმენა აჩენს კეთილ საქმეებს, მას წონასწორობა შეაქვს ადამიანის ცხოვრებაში და აჯანსაღებს ადამიანის სხეულს და სულს.

ეხმარება თუ არა რწმენა განკურნებას? ზოგი მეცნიერული გამოკვლევის თანახმად ლოცვა ხელს უნდა უწყობდეს ხელს მრავალი ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესებას. მეცნიერთა კორპუსის დიდი ნაწილი თვლის რომ რელიგია დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე., ამას ადასტურებს პენსილვანიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის და რელიგიურ კვლევათა პროფესორი, დოქტორი **ედრიუ ნიუბერგი** 2001 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში ამ საკითხზე ჩატარებული 1200-ზე მეტი კვლევის სინთეზი მოწმობს, რომ რწმენა, ლოცვა, გარკვეული რელიგიის მიმდევრობა აძლიერებს მენტალურ ავადმყოფთა ავადმყოფობისადმი წინააღმდეგობას. რწმენა, ლოცვა, გარკვეული რელიგიის მიმდევრობა ასევე კარგად მოქმედებს არტერიულ წნევაზე და იმუნურ ფუნქციებზე, ასუსტებს ადამიანთა მიდრეკილებას ალკოჰოლისადმი, ნარკოტიკისადმი, თვითმკვლელობისადმი. სტატისტიკა არ ამბობს რომ ლოცვა არის წამალი, მაგრამ რწმენა აიოლებს ავადმყოფობის ატანას, მკურნალობას. ამას ადასტურებს მაიამის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის და ფსიქოლოგიის პროფესორის, დოქტორი გეილ აირონსონის ნაშრომებიც. მან შეისწავლა შიდსის კავშირი რელიგიურ რწმენასთან: „წამლებისთვის ანგარიშის გაწევის შემთხვევაშიც სულიერება აუმჯობესებს ავადმყოფობის კონტროლს.“ რწმენა მნიშვნელოვანია ბევრი ავადმყოფისთვის. ლოს ანჟელეს ტაიმსმა გამოაქვეყნა ზონდაჟი რომლის თანახმადაც 2004 წელს ამერიკელთა 43 პროცენტი ლოცულობდა თავისი საკუთარი ჯანმრთელობისთვის და ამერიკელთა 24 პროცენტი ლოცულობდა სხვა პიროვნებათა ჯანმრთელობისთვის. კარდიოლოგი, დოქტორი **მიტჩელ კრუკოფი** ხსნიდა: „მე მინახავს სიკვდილთან ახლოს მყოფი მრავალი პაციენტი და მათი გადარჩენა განსაზღვრა იმან რაც სცდება ტექნოლოგიის და მედიცინის საზღვრებს. არა აქვს მნიშვნელობა დაუძახებთ გადარჩენის ფაქტორს რწმენას, ღვთაებრივ ენერგიას თუ ლოცვებს. ჯანმრთელობისა და რელიგიის კავშირის შესახებ გამოკვლევათა აღწერისას ახსენებს დოქტორი ნიუბერგის მიერ აღწერილ კიბოთი დაავადებული პაციენტის შემთხვევას. ამ პაციენტმა მიიღო ექსპერიმენტული წამალი და მისმა სიმსივნემ იკლო, ის შემცირდა. მაგრამ მან შემდეგ გაიგო რომ ამ წამლის მიღება არ ყოფილა ეფექტური სხვა პაციენტებისთვის და მისმა სიმსივნემ დაიწყო ზრდა. მოკლედ იმ ავადმყოფობებისთვის სადაც ფსიქოსომატიზმი აშკარაა რწმენას ნამდვილად შეიძლება ჰქონდეს ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა როგორც თვითონ მკურნალობას.

ტეხასის უნივერსიტეტის დემოგრაფი **რობერტ ჰამერის** და მიჩიგანის უნივერსიტეტის სოციოლოგი **ნელ კრაუზის** ნაშრომები გვეუბნება რომ იმათ ვისაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა რელიგიურ ცერემონიებში უფრო ემუქრება სიკვდილის საფრთხე ვიდრე იმათ ვინც კვირაში ერთხელ დადიან წირვაზე. ჰამერის აზრით ამას განაპირობებს უწინარეს ყოვლისა სოციალური ფაქტორები. „რელიგიური თემების წევრები არ არიან იზოლირებული ინდივიდები და მათ აქვთ ერთმანეთის იმედი“. ერთმანეთის თანადგომით რელიგიური თემების წევრები უფრო იოლად სძლევენ ეკონომიკურ და ჯანმრთელობის პრობლემებს ვიდრე დღევანდელი მოწინავე ატომიზებული ინდივიდუალისტურ-ეგოისტური საზოგადოებების წევრები.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

როგორ უნდა მივხვდეთ, რომ კორონავირუსი გვაქვს?

მოსკოვის მთავარი ინფექციური სამედიცინო ცენტრის ინფექციონისტმა, პროფესორმა **ელენა სახაროვამ** სპეციალური მიმართვა გაავრცელა, როგორ და რითი უნდა დავიცვათ თავი ახალი კორონა ვირუსისგან.

ელენა სახაროვა: უკვე 8 თვეზე მეტია, რაც უამრავი პაციენტი მოდის კორონა ვირუსით დაინფიცირებული და გარკვეული სურათი უკვე თვალწინაა, რა უნდა ვქნათ, რა გავაკეთოთ ამ შემთხვევაში?

თავიდანვე უნდა მოგახსენოთ ჩემი შეხედულება, საიდან მოვიდა კორონა ვირუსი.

1978 წელს ინფექციურ დაავადებათა ფაკულტეტის მე-5 კურსზე ვსწავლობდი. იმ დროს ვიწერდით ლექციებს, რომლებიც, საბედნიეროდ, შემონახული მაქვს და ძველ კონსპექტებში ვკითხულობ — კორონა ვირუსული ინფექციაა, მისი სიმპტომებია: თავის ტკივილი, ტკივილი სახსრებში, ხველა, ფილტვების, საყლაპავი და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაზიანება.



1982 წელს ექიმები, ინფექციონისტები, პროფესორები აცხადებდნენ, რომ არსებობს კორონა ვირუსული ინფექცია, თუმცა 40 წლის განმავლობაში არაფერი გვსმენოდა მის შესახებ. რატომ? ჩემი აზრით, ჩვენს ირგვლივ მიკროსამყაროში არსებობს ერთგვარი იერარქია. წლების განმავლობაში, ამ იერარქიის სათავეში აღმოჩნდნენ ბაქტერიები, ხოლო ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩვენ თითქმის არ შევხვედრივართ ბაქტერიულ ინფექციებს. თუ ჩნდებოდა ადამიანებში ნაწლავური ინფექციები — სალმონელოზი, დიზენტერია და სხვები, ახლა გააქტიურდნენ ვირუსები. თუ ადრე იყო ანგინა, სტრეპტოკოკი ან სტაფილოკოკი, ახლა უფრო ხშირად გვხვდება ჰერპესული ვირუსები. თუ ადრე იყო ქლამიდია და ამ ტიპის სხვა ვირუსები, ახლა გააქტიურდნენ ადენოვირუსები, ანუ თანდათან ვხედავთ, რომ ბაქტერიული დაავადებები უფრო შემცირდა, მაგრამ გააქტიურდნენ ვირუსები. რატომ მოხდა ასე? ეს ანტიბიოტიკების დამსახურებაა. ჩვენ დავანგრიეთ ბაქტერიების მიკროსამყარო.

ვირუსებს შორის, ზოგადად, ყველაზე ძლიერი გრიპის ვირუსი გახლდათ, თუმცა ჩვენ, მას მივეჩვიეთ და არ მივიჩნევდით საგანგაშოდ.

1978 წელს ახალგაზრდა ექიმი გახლდით, ჩემი კოლეგები გაფართოებული თვალებით ლაპარაკობდნენ ქვეყნიერების დასასრულზე და შიშით იხსენებდნენ ისპანკას. ყველა საავადმყოფოსა და პოლიკლინიკაში იყო ექიმი-ინფექციონისტი-ეპიდემიოლოგის შტატი. ეპიდემიოლოგებმა იცოდნენ, რომ მთავარი იყო იმუნიტეტი.

იმუნიტეტი ნიშნავს ავადმყოფობის დროს ტემპერატურის აწევას 38 გრადუსს ზევით. 38,6 გრადუსის ზემოთ ორგანიზმში ხდება ინტერფერონის გამომუშავება. ყველა ადამიანში ეს პროცესი სხვადასხვანაირად ხდება. ჩვენ დავაკვირდით პაციენტებს და დავამტკიცეთ, რომ ინტერფერონი 38,6 გრადუსის შემდეგ წარმოიქმნება. ბევრი გვინახავს პაციენტი, რომლებსაც, ვთქვათ, ერთი კვირა ჰქონდათ 40 გრადუსი ტემპერატურა, შემდეგ მე-7 დღეს კი 36 გრადუსი აღენიშნებოდათ და კარგად გრძნობდნენ თავს, სამსახურშიც წავიდნენ.

ახლა მე მოგახსენებთ, როგორია კორონა ვირუსული ინფექციის კლინიკური გამოვლინებანი. არ დავმალავ, როცა კორონა ვირუსული ინფექცია გამოჩნდა, საშინელმა პანიკამ მომიცვა, რადგან ვიცოდი, როგორც ვრცელდებოდა ჭირი, ქოლერა, ინფარქტები, ინსულტები, რომლებსაც ადრე არ ვიცნობდით და შევეცადე, მეტად შემესწავლა ეს ვირუსი. აღმოჩნდა, რომ კორონა ვირუსული ინფექცია გრძელვადიანია, მისი მიმდინარეობის საშუალო ვადა 14–30 დღეა, ეს არ არის გართულებული შემთხვევების კლინიკა, ეს არის ჩვეულებრივი, ბუნებრივი ხასიათი ამ ინფექციის. მეორე თავისებურება ვირუსია, ეს არის მისი ტალღისებური მოძრაობა ორგანიზმში, მაგალითად, ერთ დღეს გაქვთ 40 გრადუსი, მეორე დღეს 37 გრადუსი, მესამე დღეს ისევ 40 გრადუსი და ა.შ. ანუ თან ერთდროულად კვდება და თან ღორძინდება ვირუსი ჩვენს ორგანიზმში. თუმცა ესეც ინდივიდუალურია — მე მყავდა პაციენტი გოგონა, რომელსაც კვირაგამოშვებით ჰქონდა მაღალი სიცხეები.



როგორ უნდა მივხვდეთ, რომ კორონა ვირუსი გვაქვს?

მას თავისებური სიმპტომები ახასიათებს — იწყება თავის ტკივილები, ტკივილები ძვლებში, ხველა, ტემპერატურის ამაღლება, ეს ე.წ. ჯანმრთელი პაციენტების ჩვენებებია. ერთი კვირის შემდეგ ეს სიმპტომები ქრება.

ახლა იკეთებენ ნიღბებს კორონა ვირუსისგან დასაცავად, მაგრამ, დააკვირდით, რა ხდება — როცა ჯანმრთელია ადამიანი, ის ვირუსულ ინფექციებს ისრუტავს, ავადმყოფი კი ორგანიზმიდან „ამოყრის“ მათ, ანუ ერთი თვის განმავლობაში კორონა ვირუსგადატანილები ვირუსის გამავრცელებლები არიან. და შესაბამისად, ნიღაბს, არ შეუძლია დაცვა მისგან.

როგორც წესი, ვირუსული სიმპტომები ადამიანის ორგანიზმს „ურტყამს“ იქ, სადაც მისთვის შედარებით სუსტი წერტილია, ვთქვათ, სუსტი მომნელებელი სისტემა აქვს, ვირუსი მას აზიანებს, ვისაც თირკმელი აწუხებს, მთელი დატვირთვა მიმდინარეობს თირკმელზე.

თუ ისე მოხდა, რომ თქვენს ქრონიკულ დაავადებებს ამ ვირუსის დროს გართულებები მოჰყვა, ეს არ არის კორონა ვირუსის გართულება, ეს არის თავად ვირუსის ხასიათი.

რა უნდა ვქნათ?

არაფერი.

უნდა ვსვათ ჟოლოს ჩაი-ლიმონით, როგორც სხვა დროს.

მაგრამ, რისი გაკეთება იკრძალება კატეგორიულად?

რაც კატეგორიულად არ უნდა გავაკეთოთ, ეს არის პანიკა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავვარდეთ პანიკაში, რადგან, როგორც კი პანიკას ვიწყებთ, ვკარგავთ განსჯის უნარს და ვიწყებთ ფიქრს, რომ არ არსებობს წამალი კორონა ვირუსის საწინააღმდეგოდ.

მე, როგორც ექიმი, ეპიდემიოლოგი, ინფექციონისტი და პროფესორი, გირჩევთ: ვთქვათ, ყველა სიმპტომი გვაქვს, მაგრამ არ არის ტემპერატურა, ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს თავად ვირუსი და ავადმყოფი სრულად განიკურნა, არა, ის აგრძელებს ქსოვილებში გაფანტვას, ისე, როგორც მაგალითად, ვუმკურნალეთ C ჰეპატიტს, მაგრამ დარჩა ციროზი, ვუმკურნალეთ ართრიტს, დარჩა ართროზი, ასეა მოწყობილი ჩვენი ორგანიზმი, მტერი, რომელიც ორგანიზმში განადგურებული გვეგონა, ქსოვილებში იწყებს გაშლას.

როგორც კი ვიწყებთ პანიკას, ვიწყებთ ანტიბიოტიკების მიღებას, მაგრამ ჩვენ, ექიმებს, გვასწავლიდნენ, რომ ჩვენი დამცავი ფარი არის ჩვენში არსებული ბაქტერიები. ისინი ჩვენი ორგანიზმის შინაგან ბინადრებად ითვლებიან და წარმოიდგინეთ, ჩვენს ჯანმრთელობაზეც კი ზრუნავენ, ისინი გვიძლიერებენ იმუნიტეტს. ჩვენი იმუნიტეტის 90% ჩვენს ნაწლავებშია, თუმცა ექიმებმა ეს, რატომღაც, დაივიწყეს და ადამიანებს სთავაზობენ ანტიბიოტიკებს, რომლებიც ანადგურებენ ამ ბაქტერიებს და რა ხდება? როგორც ამბობენ, წმინდა ადგილი ცარიელი არ რჩება — კორონა ვირუსი სახლდება იქ, სადაც არ არის ორგანიზმის საკუთარი ბაქტერიები, ამიტომაცაა, როცა ადამიანი მუდმივად მკურნალობს დაავადებულ ორგანიზმს, ღებულობს სხვადასხვა პრეპარატებს, იმ ორგანოში არღვევს ბუნებრივ მიკროფლორას და კორონა ვირუსი იკავებს ცარიელ ადგილს.

კიდევ ვიმეორებ, რა უნდა ვქნათ, თუ დავსნეულდით კორონა ვირუსული ინფექციით? ნუ შეგეშინდებათ: ეს არის ჩვეულებრივი ვირუსული ინფექცია ჩვეულებრივი სიმპტომებით და რამდენადმე განსხვავებული კლინიკური გამოვლინებებით.

საინტერესოა, რომ ბოლო თვეებია, მე ვიქეცი ჩემი პაციენტების ფსიქოთერაპევტად, რადგან ადამიანები პანიკაში არიან. არ გააკეთოთ ეს — როგორც კი იწყებთ პანიკას, იმუნიტეტი სუსტდება და არა მხოლოდ კორონა ვირუსი, არამედ სხვა დაავადებებიც იოლად შემოდიან. ეს ჩვეულებრივი ამბავია. არ უნდა შევშინდეთ, არ დავნებდეთ, ეს არის გრიპი, რომელსაც ჩვენი მშვიდი და ჯანმრთელი ორგანიზმი ადვილად მოერევა.

მოაზადა
ირანდა კალანდაძემ

კონსტიტუცია, როგორც ასეთი, ანუ რომელი ქვეყნები ცხოვრობენ ძირითადი კანონით

როცა ლაპარაკი კონსტიტუციას ეხება, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატები გვახსენდება. თუმცა ეს დოკუმენტი პირველი სულაც არ ყოფილა. ყველაზე ძველი კონსტიტუციისმაგვარი დოკუმენტი სან-მარინოში შეიქმნა 1600 წელს. სწორედ მაშინ მიიღო ამ ჯუჯა ქვეყანამ რესპუბლიკის სტატუსი, შემდეგ ამას დაემატა მოქალაქეთა უფლებები – კონსტიტუციაც ხომ სწორედ ეს გახლავთ.

ამერიკელების კონსტიტუცია უძველესია ყველა ამჟამად მოქმედ დოკუმენტს შორის. ის ჯერ კიდევ 1787 წელს შეიმუშავეს და ორი წლის შემდეგ, 1789 წელს მიიღეს. შესაძლებელია, მისი წარმატება ლაკონურობის დამსახურებაა – კონსტიტუციაში ხომ მხოლოდ 4400 სიტყვაა. აშშ-ის მთავარ დოკუმენტში დაფიქსირებულია მხოლოდ უმთავრესი დებულებები, უფლებები და თავისუფლებები. ამერიკელებისთვის ასე საყვარელი დემოკრატია იქ ერთხელაც არ არის მოხსენიებული. კონსტიტუციის არსებობის მანძილზე მასში მხოლოდ 27 შესწორებაა შეტანილი, 10 მათგანი დოკუმენტის შექმნიდან მალევე – 1791 წელს. აშშ-ის კონსტუტიციაში არის ძალიან საინტერესო ოცდამეორე შესწორება, რომელიც 1947 წელს მიიღეს. სწორედ ამ შესწორების საფუძველზე ადამიანს უფლება აქვს, გახდეს პრეზიდენტი მხოლოდ ორი ვადით (მნიშვნელობა არა აქვს, ზედიზედ თუ წლების შემდეგ). თუ პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე დასრულდა (მაგალითად, იმპიჩმენტის გამო), არ ითვლება. სწორედ ამ პირობით გახდა შესაძლებელი, ლინდონ ჯონსონს 1968 წელს ეყარა კენჭი პრეზიდენტის პოსტზე. ეს სქემა მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული, მაგრამ ფაქტი სახეზეა – ის არსებობს.

მაგრამ ყველა ქვეყნის კონსტიტუცია როდი გამოიყურება საზოგადოების თვალში მშვიდობიან და პოზიტიურ დოკუმენტად, ზოგიერთი მათგანი ომის დაწყების მიზეზიც კი გამხდარა. ევროპაში ყველაზე ძველი სრულფასოვანი კონსტიტუცია პოლონეთისაა. ის 1791 წელს შეიქმნა, საფრანგეთის კონსტიტუციამდე ნახევარი წლით ადრე. მან გაათანაბრა თავადებისა და უბრალო მოქალაქეების უფლებები, განამტკიცა სახელმწიფოს მფარველობა გლეხებზე და კონსტიტუციური მონარქიის საფუძველი გახდა. ეს ყველა მეზობელ ქვეყანას როდი მოეწონა. შედეგად, პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ II-ემ გააუქმა მოლაპარაკება პოლონეთ-ლიტვის სამეფოსთან ალიანსის შესახებ, რეჩ-პოსპოლიტა კი რუსეთის იმპერიასთან ომის მდგომარეობაში აღმოჩნდა. პოლონეთის მეფის კაპიტულაციასთან ერთად დასრულდა კონსტიტუციის მოქმედებაც, რომელმაც მხოლოდ 19 თვე იარსება.

ზოგიერთი სახელმწიფო, არასასურველი კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, კონსტიტუციის გარეშე ცხოვრობს. მაგალითად, ისრაელი. კონსტიტუციის შექმნის ყველა მცდელობას საერო და რელიგიური თანაცხოვრების ჩიხში შეჰყავს ქვეყანა. ამგვარადვე, კანონების კრებული ცვლის კონსტიტუციას დიდ ბრიტანეთში.

სხვათა შორის, არავითარი შეზღუდვები ინგლისში პრემიერის მმართველობის ვადის შესახებ, ისევე, როგორც კონსტიტუციური მონარქიის უმრავლესობის, ან მმართველობის სხვა ფორმების შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილებები დაყოფილია ნომინალურ და ფაქტობრივ ფორმებად, არ არსებობს. მარგარეტ ტეტჩერი ხელისუფლების სათავეში 11 წელი იყო, ხოლო ლი კუან იუ 31 წლის განმავლობაში იყო სინგაპურის პრემიერ-მინისტრი. ქვეყნის მმართველები დიდი ხნით ინარჩუნებენ პოსტს გერმანიაშიც. მაგალითად, ჰელმუტ კოლი 16 წლის მანძილზე იყო ქვეყნის კანცლერი.

თავისთავად, კონსტიტუცია ჯერ კიდევ არ არის გარანტია ხელისუფლების ცვლილების შესახებ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა წერია მასში. ხშირად ცვლილებების გარანტი ხდება მთავარ დოკუმენტით განმტკიცებული დემოკრატია, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური კონკურენციის საჭირო დონეს, მაგრამ არსებობს სხვა მაგალითებიც – საუდის არაბეთში დიდხანს იმტვრევდნენ თავს, როგორ შეეთავსებინათ ერთმანეთთან რელიგიური და საერო ცხოვრება. ადგნენ და კონსტიტუციის პირველივე სტატიაში ჩაწერეს, რომ უმთავრესი ყურანი და სუნაა. ლიბიაშიც კონსტიტუციას ყურანი ცვლის – ყველაფერი მარტივი და გასაგებია.



თავისებურად განსხვავებულია იაპონიის კონსტიტუცია – ის აბსოლუტური პაციფიზმითაა განმსჭვალული. კონსტიტუციაში აღნიშნულია: „იაპონელი ხალხი სამუდამოდ ამბობს უარს ომზე, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის საშუალებაზე, ასევე სამხედრო ძალით დაშინებაზე ან მის გამოყენებაზე საერთაშორისო დავების გადაჭრის გზაზე“; ასევე, იაპონიაში „არასოდეს შეიქმნება სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები და სამხედრო პოტენციალის სხვა სახეობები. სახელმწიფოს უფლება ომის წარმოების შესახებ არ არის აღიარებული“. თუმცა, ეს უფრო მეორე მსოფლიო ომში წაგების შედეგია, ვიდრე იაპონიის მშვიდობიანი მოსახლეობის სურვილი.

კონსტიტუციას შეიძლება მოვეკიდოთ, როგორც ფორმალურ ქაღალდს, მაგრამ ხშირად სწორედ ის ასახავს სრულად ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრების წესსა თუ ხარისხს. სამართლებრივ ქვეყანაში ის ორიენტირი და მნიშვნელოვანი ფუძემდებელი დოკუმენტია, რის შესაბამისადაც იგება ცხოვრება ქვეყანაში. მთავარია, სამართალი განუხრელად სრულდებოდეს. იქ კი, სადაც მხოლოდ უხეში ძალა ბატონობს, კონსტიტუცია ვერაფერს უშველის – ვერც გრძელი, ვერც მოკლე, ვერც მოქალაქეთა უფლებებზე დაფუძნებული და ვერც ის, ყველაზე მაღლა რელიგიას რომ აყენებს.

XXI საუკუნეში კონსტიტუცია მსოფლიოს 57 ქვეყანაში მიიღეს. ამასთან, კონგოში, სერბიასა და ჩერნოგორიაში ქვეყნის მთავარი კანონი ორჯერ შეცვალეს, ყირგიზსტანში კი – სამჯერ. გარდა ამისა, XXI საუკუნეში 785-ჯერ განიხილეს საკონსტიტუციო შესწორებები. 95-იდან 86 ცვლილება წარმატების განხორციელდა, ხოლო მსოფლიოს 9 ქვეყანაში ძირითად კანონს პოლიტიკური პრობლემები შეექმნა და პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგობა გამოიწვია.

ექსპერტების მონაცემებით, ქვეყნების ტოპ-ათეულში, სადაც უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო შესწორებები შეიტანეს, შევიდა მექსიკა, ახალი ზელანდია, ბრაზილია, შვეიცარია, ავსტრია, ისრაელი, ჩილე, კოლუმბია, საქართველო და ინდოეთი. მსოფლიოს უძველეს კონსტიტუციათა შორისაა ჰოლანდიისა და ნორვეგიის კონსტიტუციები, რომლებიც 1814 წლით თარიღდება. ნორვეგიის კონსტიტუციაში 200-ზე მეტი შესწორება შევიდა, ჰოლანდიის კონსტიტუციაში კი — 24.

ბევრმა კონსტიტუციამ, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში მიიღეს, ცვლილებათა რამდენიმე ციკლი გაიარა. მაგალითად, შვეიცარიის კონსტიტუციაში, რომელიც 1999 წელს მიიღეს, 10 შესწორება შევიდა, 1994 წელს მიღებულ ბელგიის კონსტიტუციაში – 12, 1990 წლის შემდეგ გფრ-ის კონსტიტუციაში 146-იდან 100 სტატიაში შევიდა ცვლილება. 2011 წელს მიღებულ უნგრეთის კონსტიტუციაში უკვე 6 შესწორებაა შეტანილი.

ექსპერტები თვლიან, რომ ქვეყნები ცვლიან კონსტიტუცას, რათა ის საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამებოდეს, გააფართოვოს ადამიანის უფლებები (მათ შორის ლგბტ საზოგადოების უფლებები და გენდერული თვითგამორკვევის თავისუფლებები), განამტკიცოს სხვადასხვა სოციალური უფლებების რეალიზაცია, ნაციონალური ერთიანობა და იდენტურობა, დაიცვას სუვერენიტეტი და მოქალაქეთა უფლებები, განავითაროს რეგიონები და ფართოდ ჩართოს მოქალაქეები გადაწყვეტილებების მიღებაში.

მოქალაქეთა მონაწილეობა კონსტიტუციაში შესწორებების შეტანაში რეფერენდუმის ჩატარებით ან საყოველთაო-სახალხო ხმის მიცემით, თუკი საქმე ეხება ახალ კონსტიტუციას, ძალზე იშვიათად ხორციელდება. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიასა და იაპონიაში, თუ ინიციატივამ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოიპოვა, ის სახალხო კენჭისყრაზე გააქვთ.

წელს 14 მარტს რუსეთის კონსტიტუციაში რამდენიმე ათეული შესწორება შევიდა. ორი დღის შემდეგ დოკუმენტი საკონსტიტუციო სასამართლომ მოიწონა. დოკუმენტში შეტანილი საკვანძო შესწორება ვლადიმირ პუტინს შესაძლებლობას აძლევს პრეზიდენტის პოსტზე კვლავ იყაროს კენჭი და ქვეყნის სათავეში 2036 წლამდე დარჩეს.



ბელა გველესიანი
568 90 81 22



სიმონ ჩიქოვანი

* * * *

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები-შემკული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.

ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში,
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.

გაზომეთ ქარი თუ ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმუოდა ხევით,
წყალი მქუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით.

წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი - ძლეული გაფრენილ ცხენით,
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთლად აღბეჭდილი ქართველის რწმენით.

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

ტიციან ტაბიძე

მაშ, გამარჯვება...

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას მუჯლებით.
- მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელნი.
ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,
სანამდე უნდა, რომ მზედ ედინოს
გავარვარებულ ოქროს თაველებს!
სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი:
წავა, გაქრება, როგორც სიზმარი,
მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს.
ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.
სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!-
სხვა საქართველო მაინც სად არი?
რომელი კუთხე, რომელ ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღადარი,
ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა?
დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი:
-მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელნი.

იოსებ ნონეშვილი

თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი

იაკობ გოგებაშვილს

შენ „დედაენით“ მწუხრს მიჰკაფავდი,
სიძნელეს გზისას არად აგდებდი.
როგორც ილიას, ვაჟას, აკაკის,
გშვენის დიდების შარავანდედი.

გულის ღადარში წიგნი წრთობილი
მტრის შუქს აქრობდა, ჩვენს გულს ათბობდა.
შენ ბიბლიური იაკობივით
ერკინებოდი უსამართლობას.

წიგნი კი არა, ჩვენთა მართვეთა
სიტყვა, სიმღერა ხალისიანი,
წიგნი კი არა, ფარი ქართველთა,
ამოღებული ხმალი ფხიანი.

წიგნი კი არა, ყრმობის ზღაპარი,
წყაროს ჩუხჩუხი, ფშვინვა იათა,
წიგნი კი არა, წმინდა ლამპარი,
შეჭიდებული ღამის წყვდიადთან...

ტოროლა, ცად რომ მიიტყორცნება,
მაღლა აჭრილი მთები მზიანი,
ხამისპერანგა ბიჭის ოცნება,
ნამგლის წკრიალი, ყანის შრიალი...

წიგნი კი არა, მიმოფანტული
კაბადონებზე სხივთა მარმაში,
სიტყვა ქართული, სული ქართული
ჩართული დედის იავნანაში.

ჩვენ კარგად ვიცით სიბრძნე ნამდვილი,
შენს წმინდა წიგნში ამოქარგული
თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი,
გულში გაკლია ცეცხლი ქართული.

ჩვენ კარგად ვიცით აზრი ხალასი,
რაც გვიანდერძა წიგნმა ნათელმა:
თუ დედაენით შვილებს არა ზრდი,
თავი ტყუილად მოგაქვს ქართველად.

ჩვენ გვიყვარს წიგნი სიტყვახატული,
განა სიტყვები?... ნატვრის თვლებია.
თუ დაივიწყე ენა ქართული,
მაშ, საქართველო დაგვიწყებია...

ვინა სთქვა, ვითომ ბედმა დაგვცინა,
ძე არ გაღირსა, როგორც ილიას,
ვისაც მამულის მადლი აცხია
შენი ძე არის, შენი შვილია.

განა რა ძალით დაიკეცება
ან ეს ტრამალი, ან ეს ჩვენი ცა...
მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა
შრიალი შენი „დედაენისა“.

ლადო ასათიანი

სალაღობო

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული
და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა.

„კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა:
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა!”

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია!

დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს!
დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!

დაუკარით! და იმღერეთ შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი.
დაუკარით ძველებური დარდიანი,
დაუკარით არწივების ასაფრენი!

ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

დაუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი...
და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება,
დაუკარით ძველებური მოსალხენი:
- შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
საათნოვა რომ მღეროდა შაითანთან,
დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?!
განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება,
გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი,
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი”.

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული
და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა!

როგორ ვაქციოთ ახალ სინგაპურად საქართველო, სადაც სიტყვა „ნათესავი“ უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიტყვა „სახელმწიფო“?

ისრაელის მეხუთე პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი ამბობდა: „თუ თქვენ გინდათ, ააშენოთ ისეთი ქვეყანა, სადაც სიხარულით დაბრუნდებიან მისი ძენი და ასულნი, თუ თქვენ გინდათ, ააშენოთ ისეთი ქვეყანა, საიდანაც მისი შვილები მხოლოდ შვებულების დღეებში გაემგზავრებიან, თუ თქვენ გინდათ, ააშენოთ ისეთი ქვეყანა, რომლის მოქალაქეებსაც მომავლის შიში არ ექნებათ, გაუთანაბრეთ კორუფცია სამშობლოს ღალატს, ხოლო კორუფციონერები სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადეთ!“

იგივეს იმეორებს სინგაპურელი ხალხის მამად წოდებული, სინგაპურის პრემიერ-მინისტრი ლი კუან იუ, რომელმაც ერთ დროს ღარიბ-ღატაკი სინგაპური აზიის ფინანსურ ცენტრად აქცია: „გინდათ, დაამარცხოთ კორუფცია? დაიწყეთ იმით, რომ ციხეში ჩასვით

სამი თქვენი მეგობარი. თქვენც და მათაც შესანიშნავად იცით, რის გამოც“.

იმუშავებს თუ არა საქართველოში გოლდა მეირის და ლი კუან იუს მიერ შემოთავაზებული „რეცეპტები“?

ვფიქრობ, რომ არა!

საქართველოში ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია, გაატარო ისეთი მკაცრი რეპრესიული პოლიტიკა კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიც შეიძლება გაატარო სინგაპურში, ისრაელში თუ სხვა ქვეყნებში, რადგან საქართველო არც სინგაპურია და არც ისრაელი, საქართველო — საქართველოა!

საქართველო საქართველოა, სადაც იმ მიზეზით, რომ კორუფცია დაამარცხოს და წარმატებული, ნორმალური სახელმწიფო ააშენოს, არავინ დაიჭერს მეგობარს, როგორც ეს ლი კუან იუმ გააკეთა, რომელმაც უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ქრთამის აღების გამო დიდი ხნით გამოამწყვდია სინგაპურის საკმაოდ მკაცრ ციხეში.

ქართული საზოგადოება ის საზოგადოებაა, სადაც სხვა მენტალიტეტი, ურთიერთობის სხვა ფორმები, სხვა ნორმები და სხვა ვალდებულებები არსებობს.

საქართველოში სიტყვა „ნათესავი“ უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიტყვა „სახელმწიფო“, ჩვენი სანათესაო წრე კი, იცოცხლეთ, ძალიან ფართოა და ძალიან მრავალფეროვანი.

ქართველი კაცისთვის მამიდა, დეიდა, ბიძა, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, გარე ბიძაშვილები, დეიდაშვილის შვილები, მამიდაშვილის შვილები ისეთივე უახლოესი ადამიანები არიან, როგორიც დედა, მამა, და, ძმა.

ამას დაუმატეთ ცოლის ნათესავები, სიდედრის ნათესავები, სიმამრის ნათესავები, მერე ამ ნათესავების ნათესავები და ასე შემდეგ — დიდი წრეა, ადამიანთა საკმაოდ დიდი რაოდენობაა, რომლებიც ერთ გრძელ ჯაჭვში არიან ჩაბმულნი და ერთმანეთთან ვალდებულებათა მყარი ნორმებით დაკავშირებულნი.



მეგობრები, ძმაკაცები, დაქალები, მეჯვარეები, ნათლიები, ნათლულები — ესენიც ამ ისედაც გრძელი ჯაჭვის რგოლები არიან.

ადამიანთა ამ კატეგორიას რომ თავი დავანებოთ, ქართველი კაცისთვის ის ადამიანიც კი ახლობლად ითვლება, რომელთანაც ოდესღაც სადღაც ჭიქა აუწევია და პური გაუტეხავს.

აი, ასეთია ჩვენი ქართული მენტალიტეტი — ასეთია ჩვენი ქართული თემი, და როგორ გინდათ, ასეთ საზოგადოებაში კორუფციას ებრძოლოთ და კორუფცია დაამარცხოთ?

კორუფციას თუ არ დაამარცხებ, ნორმალურ სახელმწიფოს ვერ ააშენებო, — გვაფრთხილებენ გოლდა და ლი კუანი.

კორუფციის დამარცხება შეიძლება კი გვწადია, მაგრამ, როგორ გინდა, ამ წყეული კორუფციის გამო მამიდაშვილი დაიჭირო, ბიძაშვილი დაიჭირო, მეგობარი დაიჭირო, ის კაცი დაიჭირო, რომელთან ერთადაც გიქეიფია და ლამაზ-ლამაზი სადღეგრძელოები გითქვამს?

დაიჭერ ვინმეს და არაკაცის სახელი დაგერქმევა, სანათესაო და სამეგობრო ზურგს შეგაქცევს, შემოგაფურთხებს, არ მოგესალმება.

არაკაცის სახელის შერქმევას კი ისევ ის გირჩევნია, ბევრ რაღაცაზე თვალი დახუჭო.

თვალს დახუჭავ და სახელმწიფო ბეღელს მშიერი ვირთხებივით შეესევიან ვიღაც-ვიღაცები და გამოხრავენ, გამოშიგნავენ, გამოაცარიელებენ.

თვალი კი გაქვს დახუჭული, მაგრამ მთლად ისიც არ ივარგებს, სულ არავინ არ დაიჭირო!

სააკუთარ მამიდაშვილს, საკუთარ ბიძაშვილს, საკუთარ დეიდაშვილს ხომ არ დაიჭერ? ამიტომ სხვისი მამიდაშვილი, სხვისი ბიძაშვილი, სხვისი დეიდაშვილი უნდა დაიჭირო.

შენ რომ არ იქნები ხელისუფლებაში და შენს ადგილას სხვა რომ დაჯდება, ის შენს მამიდაშვილს, შენს ბიძაშვილს, შენს დეიდაშვილს დაიჭერს და ასე გასწორდება დარღვეული ბალანსი, თუმცა ამით არც ქვეყანა აშენდება და არც კორუფცია დამარცხდება.

რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ? მაინცდამაინც ისეთებს ხომ არ მოვიყვანთ მთავრობაში, რომლებიც ბავშვთა სახლებში გაიზარდნენ და არც დედა ჰყავთ, არც მამა და არც ნათესავები?!

მაგრამ არც ეს არის გამოსავალი — დანიშნავ რომელიმეს მინისტრად და იმწამსვე უამრავი დედა გამოუჩნდება, უამრავი მამა, უამრავი ახლო თუ შორეული ნათესავი და კორუფცია და ნეპოტიზმი მერე ნახე შენ!

აბა, რა ვქნათ?

როგორც ჩანს, ქართველობას ჩვენ ვერ მოვიშლით, აქედან გამომდინარე, კორუფციას ვერ დავამარცხებთ და კიდევ აქედან გამომდინარე, ნორმალურ სახელმწიფოსაც ვერ ავაშენებთ.

რა ვქნათ? მთლად უსახელმწიფოდ ხომ არ დავრჩებით?

რა ვქნათ და, ამხანაგი ლი კუან იუ მოვიწვიოთ ერთი-ორი წლით თავის გუნდთან ერთად, პირად მოხმარებში გადავცეთ გლდანის ციხე, რომ ქართველი კორუფციონერები იქ გაამწესოს, თვითონ კი დაუბრკოლებლად აშენოს ქართული სახელმწიფო.

დარწმუნებული ვარ, მაქსიმუმ ორი წლის თავზე საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდება რეგიონში და კავკასიის ახალ სინგაპურად იქცევა.

დავით ქავთარია

მინაწერი: ერთი გიჟი პრეზიდენტი რომ გვყავდა, გვარად საკაშვილი, აი, იმას ჰქონდა აჩემებული, საქართველო სინგაპური უნდა გავხადოო.

მე მგონი, ამ კაცს საერთოდ არ ჰქონდა წარმოდგენა სინგაპურზე და აზრზე არ იყო, რით იყო განპირობებული ის წარმატებები, რასაც სინგაპურმა მიაღწია, თორემ საქართველოს სინგაპურიზაციაზე ლაპარაკს როგორ გაბედავდა, როცა ის და მისი გუნდი, ფაქტობრივად, ბანდა, მილიონებს და მილიარდებს ხვეტდა ბიუჯეტის ძარცვით, მოსახლეობის დაყაჩაღებით, ბიზნესის რეკეტით.

რასაც სააკაშვილი და მისი ბანდა აკეთებდა, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რაზეც ლი კუან იუმ სინგაპურის სახელმწიფოს მშენებლობა ააგო.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სააკაშვილი ურცხვი, უტიფარი, უზნეო და სინდისისგან აბსოლუტურად დაცლილი დემაგოგი და მატყუარაა, რომელიც გულუბრყვილო და არაინფორმირებულ მოსახლეობას დასცინის და თვალში ნაცარს აყრის.

რა სინგაპური, რისი სინგაპური? სააკაშვილი ერთი დიდი საკონცენტრაციო ბანაკის აშენებაზე ოცნებობდა, სადაც ყველა და ყველაფერი მის სადისტურ ვნებებს დაემორჩილებოდა, თორემ სინგაპურისნაირ სახელმწიფოში მას და მისნაირებს რომ სახრჩობელა არ ასცდებოდა, მშვენივრად მოეხსენებოდა.

დ.ქ.

საერთო ვაჭეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983

9 772233 398001